პირველი საჯარო სკოლის უფროს მასწავლებელსა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ზოია ჯანაშიას სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შეეხვდით. თბილისიდან დაბრუნებული პროფკავშირების კონფერენციის სხდომის შესახებ სკოლის დირექტორებს მათთვის საინტერესო ინფორმაციებს აცნობდა. განმარტა, რომ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების თავმჯდომარე მათ კობახიძემ მინისტრს წერილობით მიმართა, რომელშიც “მასწავლებლის საქმიანობის დასწვების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის” შენერებული სქემის გაგრძელებაზე მიუთითებდა. ახალი ნორმატიული აქტის ამოქმედებამდე ძველი ძალაშია და საშუალება მიეცათ პედაგოგებისთვის, კრედიტქულები დაეგროვებინათ. შედეგად, ეს პროცესი სექტემბრამდე ისევ გაგრძელდება. KAT-ის გამოცდების გაუქმებით დაზოგილ თანხებზეც გაამხვილა ყურადღება ქალბატონმა ზოიამ და დაახლოებით, 15-20 ათასი პედაგოგის მოსალოდნელ გათავისუფლებასაც მაიწოდა ინფორმაცია კოლეგებს. დასძინა: “ვერ დაეუფებთ, მასწავლებლის უფლება არ იქნეს დაკლებული. სოლიდარობის ფონდის დაფუძნებით, სადაც გარკვეული რაოდენობის თანხას გადავიცხავთ. თუკი ჩვენი რომელიმე წევრი განთავისუფლდება სამსახურიდან, სასამართლო პროცესის წარმართვამდე ულუკმაპუროდ არ დატოვოთ. ჩვენ ვითხოვთ საპენსიო ასაყის მქონე პედაგოგის სკოლიდან ღირსეულად წასვლას, 500 ლარიან პენსიას და ჯანდაცვის პაკეტი, რომელიც მასწავლებელს გააჩნია, სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნდეს.”

გაზვიადებულად მიანია ზოია ჯანაშიას ხელფასების 1500 ლარამდე გაზრდა, რომ ეს პედაგოგების სკოლიდან განთავისუფლებისა და KAT-ის გამოცდების გაუქმების შედეგად დაზოგილი, საჯაროულ ნახევარი მილიონი ლარის ხარჯზე მოხდება. “მარტო უფროსი და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე 22 ათასი პედაგოგია. თუნდაც, მათ რომ გაუზარდონ ხელფასი, ბიუჯეტშიდან 600 მილიონი ლარია საჭირო.

ამბობენ, რომ რეფორმამ გაამართლა და ამას კვლევებიც ადასტურებს. მოვიხილოთ, გაეცნოთ ჩვენთვისაც ეს შედეგები, მაგრამ ამაოდ. რეფორმა, რომელიც თბილისის 150-ე საჯარო სკოლაში მიმდინარეობს, მხოლოდ 4 თვეა დაიწყო და როგორ ხვდებიან, გაამართლა თუ არა?!” – იყითხა მან რიტორიულად. ხაზი გაუსვა, რომ ბატაიშვილის მრჩევლები ისევ ყოფილი მინისტრების მრჩევლები არიან: “საყო ჯანაშია – შაშინის, ტრიმესტრული სწავლების შემოღები და საჯარო სკოლების დირექტორების ლობტორობის საშუალებით არჩევის ავტორი, ირინა აბულაძე – ლომიაის თანამემსუვე, ასევე, ლადო აფხაზავა. მათმა გატარებულმა რეფორმებმა თავის დროზე ვერ იმუშავა, შედეგი ვერ გამოიღო.

არც სახელმძღვანელო ვარგა და არც პროგრამა. უზრუნველყოფილი არ არის სკოლა ტექნიკურადაც, რაც საშუალებას არ აძლევს პედაგოგს, მაღალი დონის გაკვეთილები ჩაატაროს.

კიდევ ბევრ სხვა საკითხზე იმსჯელებს დირექტორებთან შეხვედრაზე, საჭიროების შემთხვევაში თავისუფალი პროფკავშირების რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გვერდით დგომისკენ მოუწოდა მათ. ბოლოს კი ქალბატონმა



ზოიამ ჩვენს კითხვებსაც უპასუხა. – თქვენ განმარტებიდან ჩანს, რომ KAT-ის გამოცდების გაუქმებას არ ეთანხმებით?

– KAT-ის გამოცდები არ მოგვწონდა, მეტ რთულ კითხვებს მოვითხოვდით, მეტად საპროფესიოს. სწავლის ხარისხის ამაღლება გინდა? მაშინ გამოვიყენოთ ევროპული სახელმწიფოების, გერმანიის, სკანდინავიის ქვეყნების, მათ შორის ფინეთის გამოცდილება, სინგაპურის, რომელმაც საოცრებები მოახდინა განათლების სფეროში. იქ საავადმუხლო საბი სავნის ჩაბარება, რაც შეეხება მეოთხეს, მის შესახებ ბავშვი გამოცდებამდე 2 თვით ადრე იგებს. აი, ამან ასწია სწავლების ხარისხი. არ იცის წინასწარ, რას ჩააბარებს და ამიტომ ყველა საგანს ერინაირად სწავლობს.

განათლება ეს არის ბერეტი, საბირველი ქვეყნის. იაპონიაში ბიუჯეტის 60% მოდის განათლებაზე, რუსეთში – 20%, ჩვენთან 7%-ია, რაც არ არის საკმარისი. სკოლებში უმეტესად ძველი თხობის პედაგოგები ვართ, რომლებიც სკანდინავიის სისტემით ვსწავლობდით, ვაზროვნებდით. დღევანდელი ბავშვები განვითარებული არიან, ინდივიდუალური უნარები მათ ამაინაშვილი, უამრავ ინფორმაციას დებულობენ. ასეთი ნიჭიერები რომ არიან, მეტად უნდა დატვირთო, ნაკლები თავისუფალი დრო რომ დარჩეთ.

– ბევრ მშობელს მიანია, რომ სკოლა თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. მასწავლებელთა ნაწილის არაკომპეტენტურობასაც უსვამს ხაზს. მიიხვედრება, რომ ახალი რეფორმით პრობლემა ასეთი მასწავლებლების სკოლიდან გაშვებითაც მოგვარდება.

– ყველა სკოლაში არსებობს დისციპლინარული კომიტეტი, რომელსაც გადაეცემა განცხადება, წერილი უკმაყოფილო მშობლების მხრიდან. განიხილავენ, რეაგირება თუ არა პრეტენზია და ისე იმოქმედებენ. ამის ბერეტი მშობელს აქვს. თუკი ამბობს, რომ მასწავლებელი არ ასწავლის, დავასაბუთოთ ეს, თუ რეაგირება არ მოხდება, მაშინ გამოიქვას საყვედური.

დამცირებულად ვგრძნობ თავს, როცა საზოგადოებიდან დაუმსახურებლად მესმის, რას ასწავლიან სკოლაში. ყოველთვის ვუბნები მშობლებს, რომ მოზრძანდით, დამესწარით გაკვეთილზე, ნახეთ, რას ვასწავლი, როგორ ვასწავლი, მშობელმა მთელი პასუხისმგებლობა მასწავლებელზე გადაიტანა, მაგრამ ბავშვი ხომ სახლიდან მოდის! გაკვეთილი რომ წაკითხული არა აქვს და დავალება შეუსრულებელი, ეს ხომ იცის მან! თუ

კი მოსწავლე გაკვეთილს მოამზადებს სახლში, სკოლაში მე ვიზრუნებ მისი ცოდნის გაფართოებაზე. რადგან გეოგრაფი ვარ, აქედან გამოდინარე ვიტყვი, თუ ბავშვმა იცის მთა რა არის, მე მას ყველი კუთხით დაეხმებ.

კლასში 27, 28, 35 მოსწავლეც ზის. ამასთან არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებიც, რომელთაც სპეციალური საგანმანათლებლო სწავლება უნდა ჩატარდეთ. ეს ართულებს საგაკვეთილო პროცესს. ამხე არაიან ფიქრობს.

გეოგრაფიაში ჩაჭრილი მოსწავლე არ მყოლია. ყოველ წელს საგნობრივი ოლიმპიადების შესამე ტურში იმარჯვებენ ჩემი მოსწავლეები. ჩემი სფეროდან გამოდინარე ვიცი, ყველა სკოლაში ერთნაირი დონე არ არის. ვთქვათ, ჩემთან სკოლაში გამოცდაზე 10 ქულა დაიწერა, სხვა სკოლაში რა კრიტერიუმით დაიწერება ისეთივე ქულა, გაუგებარია. ერთიანი შეფასების სისტემა არ არსებობს.

განათლების რეფორმასთან დაკავშირებით თავიანთი მოსახრება ჩვენთან საუბარში მე-3 და მე-4 საჯარო სკოლების დირექტორებმა, ვენერა ივანიშვილმა და ლეილა კუბლაშვილმა დააფიქსირეს.

რამდენად სწორად მიანიათ სამინისტროს მიერ საატესტატო გამოცდების გაუქმება, რასაც მოსწავლეების თითქმის ერთსულეობანი მოწინება მოჰყვა, პირველ რიგში, კითხვას ქალბატონმა ლეილა უპასუხა.

– ლეილა კუბლაშვილი: – KAT-ის გამოცდების მოხსნა არ მიმანია სწორად. სწავლის ხარისხს უკვე დაეტყო, ბავშვებმა წინე გაადგეს ხელიდან.

– მათი აზრით, საატესტატო გამოცდები დროის კარგვა უფრო იყო და ცოდნაც დიდხანს არ მიჰყვებოდათ, ეკარგებოდათ.

– როგორ დაიარგება ცოდნა? ამდენი ხნის პედაგოგი ვარ, 40 წლის სტაჟი მაქვს, მახსოვს პირველ და მეორე კლასში ნასწავლი მასალა. საშუალო სკოლაში ისეთი საგნები ისწავლება, რომელთა ცოდნა აუცილებელია. თუ დაიხვეწება გამოცდები, ბავშვების სასარგებლოდ, ცოდნა უფრო გაადრმავეთ და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ სწავლას, ამას მივესალმებით. დაფიქრება უნდა, ასე უცებ გადაწყვეტა არ შეიძლება.

– ვენერა ივანიშვილი: – უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს გამოცდების მოხსნასთან დაკავშირებით. თუ ბავშვი სკოლაში ივლის, გაკვეთილები ჩატარ-

დებათ, რაც KAT-ის გამოცდისთვის არის საჭირო, ის ცოდნას მიიღებს. რა თქმა უნდა, ბავშვიც თუ მოტივირებული იქნება.

7-დან მე-10 კლასის ჩათვლით გამოცდებს მე ყოველთვის ვატარებ, რადგან მე-11 კლასში KAT-ის გამოცდა იყო გათვალისწინებული, ბუნებრივია, გამოცდა აღარ მქონდა. ასეთი ფორმით KAT-ის გამოცდას არ მივესალმებოდი, რადგან ისეთი მოსწავლე ლახავდა ზღვარს, ბედის გამართლებით თუ სხვა რამით, რომელსაც წინე არ ჰქონდა გადაშლილი. ერთი წელი იყო შარშან, როდესაც გადალახა-ვერგადალახას პრინციპით მოქმედებდა შეფასება, თორემ გასულ წლებში ქულებით ხდებოდა. ეს ქულებიც როგორ იწერებოდა! 7 ქულამდე დებულბოდა კარგი მოსწავლე, რადგან ძალიან გინციდიდა, შეიძლება იმ ზარმაც მოსწავლეს კი მეტი მაღალი შეფასება მიელო.

– ხშირად ისმის მშობელთა მხრიდან საყვედურები, რომ სკოლა არასათანადო განათლებას აძლევს მოსწავლეებს, არ უტარდებათ გაკვეთილები.

– ლეილა კუბლაშვილი: – პირველ რიგში, რეპეტიტორები არ უნდა იყვნენ. იქამდე გათავხედნენ, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას იბარებენ ბავშვებს. მშობელი დარწმუნებულია, რომ ბავშვი რეპეტიტორთან მეტს ისწავლის. შეიძლება, კლასში ნაკლები რაოდენობის ბავშვი იყდეს, ვიდრე რეპეტიტორთან. იქ მეტ ცოდნას როგორ მიიღებს?! ვენერა ივანიშვილი: – აბსოლუტურად ვეთანხმები. დილით 7 საათზე დაიბარებს ბავშვს რეპეტიტორი, ის ხომ 6 საათზე უნდა ადგეს. ამ დროს როგორ აზროვნებს ბავშვი, სკოლაში ხომ უნდა წავიდე! წავიდა სახლში და დაიძინა.

– ლეილა კუბლაშვილი: – აუცილებელია, აგრეთვე, შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან სასკოლო პროგრამა და ეროვნული სასწავლო გეგმა. შესაბამისობა რომ არ არის, ამიტომ სჭირდება რეპეტიტორი. სკოლის გამოცდებზე ბარიერი არ არის, რომ ვერ ჩააბაროს სკოლაში არსებული პროგრამით.

– რეფორმატორები თვლიან, რომ ამჯერად მთელი ტვირთი სკოლაზე გადადის. ატესტატის მხოლოდ მასწავლებლის შეფასების საფუძველზე მიიღებენ მოსწავლეები. რამდენად შეიძლება პედაგოგი თბიქტურობის შენარჩუნებას?

– ვენერა ივანიშვილი: – ვერანაირად. მასწავლებელს ყოველთვის შეუძლია დაუსწავლოს ბავშვს, ნიშანი, რომელიც დაწერა, დაიმსახურა, მაგრამ ეს ნიშანი შეფარდებითია კლასში. არა გვაყავს ისეთი კონტინენტი ათიანი ათიანობდეს, ცხრიანი ცხრიანობდეს.

– ვენერა ივანიშვილი: – არ მეველებს მასწავლებლები, რომელიც ბავშვს ქულას აკლებს, პირიქით.

– ლეილა კუბლაშვილი: – სახელმწიფო რომ კომპიუტერში ფულს ხარჯავს, სწორად არ მიმანია.

– თუკი კომპიუტერების გადაცემა გაგრძელდება, მართო სკოლაში მიღებული შეფასებით კი არ უნდა მოხდეს ეს, იქ უნდა იყოს განმსაზღვრელი ასევე. ოლიმპიადებში წარმატების მიღწევა, კონფერენციებში წარმატებული მონაწილეობა.

– ლეილა კუბლაშვილი: – სამინისტროში რომ სხედან, ჩვენც ვკითხობ აზრი. გადასაყვან გამოცდას შეატარებ ვერ ჩაატარებ. წლების განმავლობაში რომ გვაყავს შეზრდილი მოსწავლე, მაინც გადაიხრები მისკენ, მაგრამ რასაც KAT-ის გამოცდა ითხოვდა, იმას რეპეტიტორი რად უნდა! არიან ისეთი პედაგოგები, რომლებიც ამბობენ, რომ ბავშვი ვერანაირ ცოდნას ვერ წაიღებს სკოლიდან, მოვიდეს ჩემთან სახლში და ვასწავლო.

– სკოლაში არის აბიტურის საათები, ყველა საგანში შეიძლება მოეშალო. ვთქვათ, 5 საათია ქართულში, პლუს ერთი აბიტური.





“ნანიბა” სამტრედიისთვის

თბილისი

“ნანიბა” ნანის, ნინოს და ბაზას ნიშნავს, ანუ დედამამშვიდობებს და კიდევ – საწარმოს სამტრედიაში, ახალი სიტყვა რომ არის აქაური მოდის ინდუსტრიაში. სულაც არ ვახლოვდებით ვადაძეებულ შიფონებსა და მოდის ინდუსტრია პატარა მუნიციპალიტეტისა და ქალაქისთვის! რატომ? საუბარია სამტრედიაზე, რომელიც იდენტურად ცნობილი იყო როგორც ინდუსტრიული ქალაქი და საკუთარი დინამიკური ჰაბი. რაც შეეხება გემოვნებას, ვადაძეებულ სამტრედიულ რეალობას, ბატონებო!

დასაწყისი, დიასახლე, მაღალი ნოტა. საკითხავიც სარეკლამო ვახლოვდით. “ნანიბა” ანუ ახალი საწარმო, სადაც ფეხსაცმელს განსვავებული დინამიკით, შექვეყნის გემოვნების გათვალისწინებითა და ფეხზე მორგებული კომფორტით შეკრავენ, ჩვენს ქალაქში სულ ახლახან გაიხსნა.

ფეხსაცმლის დინამიკა ნანი ჩაჩუამ, რომელიც იმავდროულად საწარმოს სულისჩამდგმელიც გახლავთ, კიდევ ერთხელ გააქარწყლა მითი, რომ ფეხსაცმლის კერვა მხოლოდ კაცების საქმეა. თუმცა, არა მხოლოდ ფეხსაცმელი, “ნანიბა” გამორჩეული გემოვნებით შეკრიბილი ჩანთებისა და შექმნილი სამკაულებსაც სთავაზობს მომხმარებელს. დაახლოებით მეტს გემოვნებაზე დავობენ, თუ



მცა, ყოყმანი არ ეტყობოდათ სამტრედიელებს ახალი საწარმოს გახსნაზე მისთვის. მრავალდღიანი დაინტერესებული სტუმრები პრეზენტაციას წარმოადგენილი პროდუქციის სანახავად მისულები. იმ დღეს ფეხსაცმლის სპატიო გახლდათ. თუმცა, პარლამენტში სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატისა და ბიზნესმენის, ვადაძეების სტუმრობას სხვა დატვირთვა ჰქონდა “ნანიბასთვის” გახსნის პირველსავე დღეს. მით უმეტეს, რომ გამოცდილმა ბიზნესმენმა ძალიან მოიწონა ახალგაზრდა გოგონას იდ-

ეა და ჩანაფიქრი: “მას შემდეგ, რაც ამირჩიეს, ეს დღე ყველაზე გამორჩეულია ჩემთვის სამტრედიის მაჟორიტარის რანგში, დღეს ქალაქში გაიხსნა საწარმო, საკუთარი სიტყვის თქმა რომ შეუძლია მის ეკონომიკურ განვითარებაში. მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სამტრედია არა მხოლოდ სარკინიგზო, ზოგადად, სატრანსპორტო კვანძია. ვცდილობთ გამოვიყენოთ ეს და კიდევ სხვა არაუ-



გამოცდილება. ჩანაფიქრი, ფეხსაცმლის სამკერვალო გამეხსნა, პროექტმა “აწარმოე საქართველოში” განმარტოვებია. მივიღე დაფინანსება და შევიძინე უახლესი მანქანა-დანადგარები, რაც ხარისხიანი პროდუქციის შექმნას განაპირობებს. ზერეულდ ნათქვამი არ იქნება, რომ ჩვენს ატელიუმში ხარისხი განმსაზღვრელია, ვიმუშავებთ ნატურალური მასალით. გარდა ფეხსაცმლისა, ჩანთების, სამკა-

თი ფაქტორი და იგი ტურისტული კუთხითაც საინტერესო გახვალთ. ეს ყველაფერი თავის მხრივ ამ კონკრეტული და მსგავსი საწარმოების წარმატების საწინდარიც გახდება. აქვს ამ პატარა საწარმოს გაზრდისა და გაფართოების პოტენციალი. მას ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკუთარი საქმის პროფესიონალი ნანი ჩაჩუა უძღვება. საწარმო პროექტით “აწარმოე საქართველოში” დაფინანსდა. ჩემს ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებ, საჭიროების შემთხვევაში დახმარება გავუ-

წიო ნიჭიერ დინამიკურს. ამ ეტაპზე წარმატებებს ვუსურვებ მას. გამიხარდება “ნანიბას” წინსვლა!”

ნანი ჩაჩუამ თათა ვარდანაშვილის კოლეჯი დაამთავრა. როგორც გამორჩეულად გემოვნებიანი დინამიკური, რამდენიმე წელი მასთან მუშაობდა კიდევ. შემდეგ ქალის ფეხსაცმლის სამკერვალო “თამარისში” იმუშავა მთელი 4 წლის განმავლობაში. “თამარისში” ძალიან ბევრი მომცა. პრაქტიკული საქმიანობა, მოგესხენება, ბევრს ნიშნავს და ამ სფეროში სწორედ აქ მივიღე ჯეროვანი

ულებისა და სხვა აქსესუარების საკუთარი გემოვნებით შეკრვა-შემქმნის საშუალება მთელი მომხმარებლის. გარდა ამისა, ავიყვანე მოსწავლეები, რომლებსაც ამ საქმეს შეგასწავლა. თავადაც მჭირდება პროფესიონალები, რომ შემდეგ ატელიუმს გაფართოება შეუძლოს.” – გვითხრა მან საუბრისას.

ფეხსაცმლის ატელიუმ, როგორც სრულიად ახალი სიტყვა პატარა ქალაქისთვის, დაინტერესების წყარო დინამიკურ მანია ვამაქიძისთვისაც აღმოჩნდა. აღნიშნა კიდევ მან: “ეს ატელიუმ დიდი კომფორტი იქნება ჩემთვის. როცა მჭირდება ტანსაცმლისთვის ფეხსაცმლისა და სხვა აქსესუარების შეხამება, ქუთაისში უნდა წავსულიყავი. ახლა ასეთი საწარმო აქვს, ჩვენს ქალაქში გვაქვს და ეს ძალიან კარგია. საკმაოდ დიდ დასჭირდა იმას, მომხმარებელი მიჩვეულიყო, რომ ინდივიდუალურად განმსაზღვრელია გემოვნებიანი ჩაცმულობისთვის. ის, რაც აკვია ყველას, არ არის გემოვნება, პირიქით, გემოვნება ის, რაც მხოლოდ შენი შტრინია. ბაზარი მეტ-ნაკლებად გამზადებული ზედება ნანის და მის “ნანიბას”, რადგან მიეჩვენა მომხმარებლის 40%-ზე მეტი, რომ სჯობს სტანდარტულ ფასებზე ცოტა მეტი გადაიხადოს და იყოს ორიგინალური.”

პირველივე დღეს გამოიყენო პროდუქციას, კედლებზე გაკრულ ექსპოზიციას ნიშნულად თუ მივიღებთ, “ნანიბას” ახალგაზრდა დინამიკურს გემოვნება ნამდვილად არ ღალატობს, ვერც ხარისხს დასდებ წუნს. ასე რომ, ვინ იცის, მალე სამტრედიამ იქნებ მოდის ინდუსტრიაშიც საკვანძო სიტყვა იქნება.

ქეთო ბაბოა სოფლის იმედი!

წვიმად დაღვრილმა მარტმა, ვინ იცის რაზე და ვისზე გაბრაზებულმა, ეზო-კარი ისე აატალახა, კარგა ხანს კეცავდა ავტომობილი მალა მთაში ასავლელ ბილიყებს. მაინც ჯიუტად მიდიოდნენ წინ, ყვავილების დიდი თავიუღლითა და კიდევ სხვა საჩუქრებით. ვისთან? ქეთო ბებოსთან, არასდროს რომ არ ავიწყდება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, წითელი ჯვრის სამტრედიის ორგანიზაციას. და კიდევ, შვილებს, შვილიშვილებს, შვილიშვილებს.



მარტის იმ წვიმიან დღესაც მიულოცეს დაბადების დღე ქეთო ქორიძე-ბუბუტეიშვილს. 102 წლის გახდა ქეთო ბებო, პატიოსნებით, ღირსეული მეუღლეობით, კარგი შვილების დედაობით, შრომით და გარჯით სავსე წარსული წლებით ერთად რომ ჩამოფურცლა, საუკუნე დასვა და გადააბიჯა. “ექიმი და წამალი ჯერ არ ვიცი რა არის, წნევა თუ ამიწვეს მხოლოდ. ეს ფეხი არ მომეტეხა, 200 წლიანი ვიქნებოდი. ერთი გარეთ გამიყვანა და ჩემს ნაჯაფ ეზო-კარს გადაახედა, მეტი არაფერი მინდა.” – თიხრა მისალოცად მისულებს და მათთან ერთად შავი ლვინით სავსე ჭიქაც დასცალა. მე შენ გეტყვი, დღევანდელობაში ვერ ერკვევა, ან პოლიტიკაში ეშლება რამე!

500 ლარი მუნიციპალიტეტის გამგეობამ გადასცა საჩუქრად. წითელი ჯვრისგან საკვები პროდუქტებით დატვირთული ამათი მიიღო. “ტრადიციულ გვექცა სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, ჩვენს ბენეფიციარებზე მსგავსი დახმარებების გაწევა. ამჯერად საკმაოდ მსუყვე, თითქმის 100 ლარის ღირებულების პროდუქტებით დატვირთული ამათი ვაჩუქეთ 102 წლის ქეთოვან ბუბუტეიშვილს. მსგავს აქციებს ჩვენი ორგანიზაცია პერმანენტულად გააგრძელებს.” – ამბობს წითელი ჯვრის სამტრედიის ფილიალის წარმომადგენელი ირმა შევლიძე.

სოფლის დეპუტატი საკრებულოში გრივად ჩივილი მილოცვების შემდეგ სოფლის სატკივარზე საუბრობდა. სწუხდა: “ცარიელდება სოფელი. რომ დავთვალო, 70 ახალგაზრდა დაუოჯახებელი და არც აპირებენ დაქორწინებას. არადა, სულ ცოტა 70 ბავშვით მეტი ხომ შეიძლება დაიბადოს სოფელს. ეს ახალი სიცოცხლე იქნებოდა მისთვის.”

მუნიციპალიტეტის გამგებელმა კიდევ ერთხელ დალოცა დღევანდელი მოხუცი. საუკეთესო სურვილებს დასძინა, გაისადაც გინახულებთ და ასეთივე ენაწვლიანი უნდა დაგვხვდეთ. ქეთო ბებოც დაპაპრდა, დაგლოდებოთ.

გომადალს სტუმრობდნენ სტუმრები სამტრედიიდან. იქ კი, იმ მაღალმთიან სოფელში, ახალგაზრდებისგან ზურგმკეცველს გამოეცხილი სახლები, მიტოვებული კერა რომ ესეკვდიანება, იმედოდ 102 წლის ქეთო ბებო ელოდება გაზაფხულს. პო, ქეთო ბებო და მისხაირებია სოფლის იმედი, რომ მშობლიურ მიწა-წყალს მისატოვებლად ვერ გაიმეტებს ქართველი! ამის მაგალითს ქეთო ბუბუტეიშვილი და მასავით საკუთარ ნაჯაფ კარმიდამოს ვერშეუღებელი მოხუცები აძლევენ შვილებს.

თბილისი



საინტერესო და არანაკლებ გასათვალისწინებელი მოსაზრებები დააფიქსირა ჩვენთან საუბარში განათლების რეფორმისათვის დაგეგმილები ჰელდაგომა ლევან ბუაძემ: “იანვრის პირველ დეკადაში, სოციალურ ქსელში დავდე ჩემი მივლევები და საუკეთესო მინისტრად ბატონი ბატონიშვილი დავასახელე (მხედველობაში მხოლოდ განათლების სექტორი მქონდა). ორ კვირაში თავად მინისტრმა გაასაჯაროვა სიახლეები. მე მხარს ვუჭერ სასკოლო გამოცდების ამოღების საკითხს, ოღონდ მე-9 კლასის დამთავრებისას გამოცდები აუცილებლად მიმანია! ვინც მომდევნო კლასში ვერ გადავა, მან პროფესიულ განათლებას უნდა მიჰყოს ხე-

ლი! საუკეთესოები კი პროფორიენტაციით უნდა მოემზადოს უმაღლესი განათლებისათვის. ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდები უმაღლესში კი უნდა ჩატარდეს, როგორც გაცხადებულია იმ პრინციპით. მე, 2005 წლიდან ვმუშაობ აბიტურიენტებთან უნარ-ჩვევების დონის ამაღლების კუთხით. დამიეროვდა დიდი გამოცდილება. უნარ-ჩვევები საჭირო დისციპლინა და ცდებია ის, ვისაც ჰქონია, რომ მას სკოლაში არ ასწავლიან. მათემატიკასა და ქართულ ენაში არის ყველა ის უნარი, რომელიც ერთად თავმოყრილი ცალკე საგანდ ბარდებოდა უმაღლესში ჩარიცხვის წინ. პიროვნული ფაქტორი არ უნდა იყოს მთავარი და არ უნდა გამოთქვას უკმაყოფილება იმისთვის, რომ უნარ-ჩვევები ძირითადი ჩასა-

ბარებელი საგანი არ იქნება. მე მქონდა ვერსია, რომ მხოლოდ უნარ-ჩვევები ყოფილიყო ჩასაბარებელი – ისე, როგორც პირველ წელს დაუშვეს. თუმცა 200 საკითხით 150 წუთში ახალგაზრდა 100 ქულიდან 55-ზე მეტს უნდა შეწვდნოდა (ამით იგი 4 წლით ხდებოდა სტუდენტი), ხოლო მეორე 100 ქულიდან (30 წუთიანი შესვენების შემდეგ) მეორე 150 წუთში 55-ზე მეტს ადებით იგი ხდებოდა სტუდენტი 5 წლით (მაგისტრანტი!). მეხუთე კურსის წინ კვლავ მიეცემოდა უფლება 4 წლიან ბაკალავრებს. ყველა საჯარო სამსახურში სავალდებულო უნდა იყოს უნარ-ჩვევების ჩაბარება სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძო სამსახური მფლობელის სურვილზე დარჩება და ვფიქრობ, არც ისინი აუვლიან გვერდს ტესტირების ამ ფორ-

მას. სკოლაში მასწავლებლის შრომა ჯეროვნად უნდა დაფასდეს და შინ გაწეული (მეორე დღისათვის მზადება) შრომაც უნდა ანაზღაურდეს! მართლაც ჩვენს რაიონში მეგულება უამრავი მაღალკვალიფიციური მასწავლებელი და მათი მოსწავლეები სახელს აუცილებლად გაითქვამენ! სასკოლო პროგრამებში იაკობ გოგებაშვილის “დღეაინის” დაბრუნებით კარგი ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ ლუთერის, კალვინის და სხვა რეფორმატორების გვერდით (თუ წინ არა) გიორგი მთაწმიდელი, ექვთიმე ათონელი და პეტრე იბერი (მსოფლიო კლასიკა) არაა ისტორიის სახელმძღვანელოებში. ხოლო ქართულ ლიტერატურაში არ ისწავლება მათი ნაწარმო-

ებები (ნაწევრები მაინც)! ეს საკითხი განეიტრატებს სკოლაში რელიგიის სწავლების (არ მიმანია მართებულად!) მოთხოვნასაც. რელიგია ეკლესიებსა და მედრესებს უნდა ისწავლებოდეს და არა სკოლაში. ჩვენი სანაქებო წინაპრების სწავლებისადმი გაცნობა კი იმ უხერხულობასაც აღმოფხვრის, სხვა კონფესიის მიმდევართ რომ გაუწინდებოთ! ასევე, მაღალ კლასებში იოანე ბატონიშვილის “კალმასობა” აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს, რადგან ინტერაქტიური გაკვეთილის ფორმითაა გადმოცემული უამრავი ცოდნა ამ შრომაში. განათლების რეფორმის სჭირდება კომპლექსური ხედვა და დაუშვებელი იქნება ცალკე რაიმე იდეის ცალმხრივი გაკვეთილება – სხვა მნიშვნელოვანი საკითხის დასუსტების ხარჯზე.

მეფეისი კეთილი

25 მარტი (1917 წ.) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა!

1917 წლის 25 მარტს აღდგა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა – ავტოკეფალია, რაც უდიდესი მოვლენა იყო სრულიად საქართველოსათვის, ქართველი ერისათვის.

დღეს იმ სასულიერო პირის შესახებ ვისაუბრებთ, განუწმენდი წვლილი რომ შეიტანა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში.

გორის მხრის სოფელ ნიქონში 1855 წელს დაიბადა კირიონ მეორე, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიძე. გორის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის შემდეგ, 1880 წელს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაასრულა კიევის სასულიერო აკადემია და ოდესის სასულ-

ეო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ დაინიშნა.

1886 წელს კირიონი საქართველოს მონასტრებისა და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სოლუების ინსპექტორად დაამტკიცეს. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ეს წლები მის ცხოვრებაში. მონასტრებთან ხსნიდა ბიბლიოთეკებს, პარალელურად კი, საქართველოსა და რუსეთის მოწინავე პერიოდიკაში, საბაგელოვის, ლიახველის, ივერიელის... ფუნდონიშებით არაერთ საინტერესო წერილს აქვეყნებდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ და ქართულ კულტურას, ქრისტიანობას უწევდა პოპულარიზაციას.

წინადა გამოცემული 40-ზე მეტი მონოგრაფია, უამრავი მეცნიერული კვლევა-წერილი კირიონ მეორის ნიჭიერებაზე მეტყველებს. იგი უდიდესი ქველმოქმედც გახლდათ. 300-ზე მეტმა ახალ-

გაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება რუსეთისა და ევროპის წამყვან სასწავლებლებში კირიონ მეორის ფინანსური და მორალური მხარდაჭერით. 1889 წელს არქიმანდრიტი კირიონი ალავერდის ეპისკოპოსად აკურთხეს, იგი საკუთარი ხარჯით შეუდგა ალავერდის ტაძრის აღდგენას, პარალელურად განაგრძობდა კახეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეების შესწავლას.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლას უკავშირდება მისთვის ეპისკოპოსის წოდების ჩამორთმევა, მისი დევნა-შევიწროება და დაპატიმრებაც კი. განსაკუთრებით გაძლიერდა კირიონის დევნა 1908 წლის 28 მაისიდან. ამ დღეს მოვლეს ეგზარქოსი ნიკონი, ეს მკვლელობა კი კირონს დააბრუნა. როგორც საქართველოს, ისე რუსეთის დემოკრატიული, პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება აღაფრთოა ამ

ბინძურმა ცილისწამებამ, ევროპაში კირიონის ღირსების დაცვის საზოგადოებაც კი შექმნეს. მხოლოდ 1915 წელს შეწყდა მისი დევნა, როცა იგი პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსად დანიშნეს.

1917 წელს, როცა აღდგა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა – ავტოკეფალია, კირიონ მეორე, ქართული საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით, საქართველოში დაბრუნდა. უდიდესი პატივითა და სიყვარულით დახვდა სრულიად საქართველო მრავალჭირნახულ სასულიერო მოღვაწეს, რომელსაც საქართველოსა და ქართველების სიყვარულით უმეგერდა გული.

1917 წლის სექტემბერი. თბილისში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე კირიონი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს. იმავე წლის 1-ლი ოქტომბერს კირიონ მეორე საზეიმოდ ეკურთხა, მისი აღსაყდრება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა.

2002 წლის 17 ოქტომბერი. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე, კირიონ მეორე (საბაგლიძე-ნიქონი) წმინდანთა დასმის ჩაირიცხა.

2003 წლის 10 ივლისს პირველად აღინიშნა საქართველოში წმინდა მღვ-



ელმოწამე კირიონის ხსენების დღე.

25 მარტს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა, სწორედ ამის გამო გავიხსენეთ უდიდესი სასულიერო მოღვაწის, კირიონ მეორის მოღვაწეობის წლები, რათა თაობებმა იცოდნენ, თუ ვის მხრებზე დგას ჩვენი ერის, ეკლესიის ისტორია.

ლევან ბაგრატი

“მახოცია, ნელიდან გვაქვს ცხოვრება დასაწყისი, აქედან ახსაც წასვლას ახ ვაპირებთ!”

60601 ნაგოტაშვილი

“დღეს სახლი არ გვაქვს. ჯერ ვერ გავიგე, რას მელაპარაკებოდა, რას მეუბნებოდა. დღეს სახლი აღარ გვაქვს, აგვიფიქტაო. ამის მერე აღარაფერი მასწავლეს. რომ მოვედი გონზე ჩემი ბერძენი მასპინძლები მასულიერებდნენ გულწასულს.”

საკუთარი სახლის აფეთქების ამბავი დღემდე შეიწყო. მანანა ერემეიშვილი იმ დროს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში იმყოფებოდა, სადაც, დაახლოებით, 2 ათეული წელი დამხმარედ იმუშავა.

ზაფხულის ბოლოს საქართველოში დაბრუნება პიონა გადაწყვეტილი და 17 წლის განმარტებულ ოჯახთან უზრუნველი ცხოვრება უნდოდა გაეგრძელებინა:

“ამ ზაფხულს ვაპირებდი ჩამოსვლას. ვამბობდი, რომ ყველაფერი დამთავრებულია, გაკეთებული მაქვს მეტ-ნაკლებად, ჩავალ ახლა ჩემს მეუღლესთან და დარჩენილ წლებს ერთად გავატარებ-თქო. 17 წელია, უკვე წასული ვარ”.

ახლა აქ აღარაფერია. როგორც ადგილობრივები ამბობენ, იდეალურად მოწყობილი ორსართულიანი კაპიტალური სახლის ადგილზე მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. აფეთქებას, რომელიც, საგარეოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვას მოჰყვა, ერთადერთი კიბე და ოჯა-

ხის უფროსი სასწაულებრივად გადაურჩა. 76 წლის გრამიტო მეფარიშვილმა მამინ სახისა და ზემო კიდურების მძიმე დამწვრობა მიიღო:

“4-ის ნახევარი იყო, შევედი სახლში, მიხლოდა საჭმელი მეჭამა. ავანთე ასანთი, კერძს გავაცხებლ-მეთქი. გავეხევი ალში. საშინელი ნგრევებს ხმა იყო. გონება არ დამიარაგავს. ნანგრევებიდან გამიფანჯეს, სასწრაფო მოვიდა და საავადმყოფოში გადამიყვანეს”.

მართალია, აუნაზღაურებელ ზარალთან ერთად უდიდესი გულიანობით ნახეს და ყველაფერი ნულიდან აქეთ დასაწყისი, მეფარიშვილების ოჯახს სხვაგან წასვლა გონებაშიც არ გაუვლია. შემთხვევის დღიდან გრამიტო მეფარიშვილის თანასოფლები გვერდიდან არ შორდებიან. ოჯახის გასაძლიერებლად შეეცადიდან ერთადერთი ვაჟი, აკაკი ჩამოვიდა.

“აქ რომ გადმოვედით საცხოვრებლად მე და ჩემი მეუღლე, ერთი პატარა, მიწიანი ქუხნა გვექონდა, მეტი არაფერი. იმის მერე, 45 წელია, მუხლანაუნებლად ვშრომობდით. ქართულად რომ იტყვიან, კაპა-კაპი, ერთმანეთზე დაწყებით, უყვრდით თავს ფულს, ყველაფერი იდილურად გვექონდა, სახლიდან ამდენი ხნის გადსული ქალის შრომას რომ შეეფერებოდა. ასე დამემართა ბოლოს. აზრადაც არ მომსვლია, სხვაგან წასვლით ვი ვიყავარს აქაურობა, ხომ ხედავთ, ყველ-

აფერი ნულიდან არის დასაწყისი, მაგრამ ამ ფუძემ გვიჩვენა რომ ვიცხოვროთ”.

– გვეუბნება ქალბატონი მანანა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი შემთხვევის დროს ტოლების თემში მოსახლეობასთან შეხვედრანე იმყოფებოდა.

ვალერიანე ფოცხვერია აფეთქების ადგილზე დაუყოვნებლივ მივიდა და დაზარალებულ გრამიტო მეფარიშვილს სამედიცინო ცენტრში თავად გაჰყვა:

“სამტრედიის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი საუკეთესო სახლი იდგა ამ ადგილზე, სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით. სამწუხაროდ ერთი თვის წინ მიწისძვრის გამო დასაზარალებელი იყო. გრამიტომ დამწვრობა მიიღო. ყველას უკვირდა, ამ სახლში მეპატრონე როგორ გადარჩა. რაც შეეხება ხელისუფლების მხარდაჭერას, შესაძლებლობის ფარგლებში ვეხმარებით, ტექნიკა გამოვიყვანეთ. მომავალშიც როგორც მატერიალურად, ასევე ტექნიკით კიდევ დავეხმარებით”.

მუნიციპალიტეტის მერიამ შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც მატერიალური, ასევე მორალური მხარდაჭერა მეფარიშვილების დაზარალებულ ოჯახს იმთავითვე გაუწია. მუნიციპალიტეტის საკრებულოში ტოლების თემის დეპუტატი ილია მჭავია მერის, ვალერიანე ფოცხვერიას დახმარებით დაზარალებულ ოჯახს ყოველდღიურად აკეთხავს.



ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია

მიმდინარე წლის 7 მარტს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის ინიციატივით და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მორიგი სოციალური აქცია განხორციელდა. სწავს სამტრედიის ფილიალის საქმიანობათა დღის ცენტრის ბენეფიციარ ქალბატონებს სარგებლოდ მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით შეძენილი საჩუქრები (პიეიენური ამანათები და ტკბილეული) გადაეცათ. გადადგომის პრობლემის მქონე ქალბატონებს ამანათები ბინაზე მოვლის ჯგუფის მოხალისეებმა თავიანთ სახლებში მიართვეს.



სწავს სამტრედიის ფილიალი მადლობას უხდის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

ნათია კახავა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი დირექტორი

“პერაფრიტ ბაიბო, ალაშიანის სისხლი სილბასპრილ ხალხს ხმის ამოღების უფლება რატომ ჰქონდა?”

ნათია ნაცვლიძე

გაეროებელი ინტერვიუს მარინა ბიბიგორიანის, რომელიც ერთ-ერთი მოძრაობის სხვა ღირსეულ წარმომადგენლებთან ერთად, სამოქალაქო ომის მიმდევრობაში უპირატესი განსაკუთრებული და პოლიტიკური დევნა-შევიწროება აიტანა. წლების შემდეგ ჩვენ რესპონდენტს სამადლობლო სიტყვებს არ იშურებს იმ ადამიანთა მისამართით, რომელთაც გამოიჩინეს სახელმწიფოებრივი შეგნება – უერთგულო მკაცრად ადამიანურ პრინციპებს და ღირებულებებს და ქვეყნის მოვალეობითაა რიგებში არ ჩადგინენ, აიტანეს ბევრი უსამართლო დევნა, შევიწროება და სამშობლოსათვის სიყვდილსაც კი არ შეუშინდნენ.

ზვიადის დედა, განაჩენს ჩოხებში გამოწვივებული შეხვედრად, ლოთი და ნუგზარმა აიტაცეს. იდეას განხორციელება სჭირდებოდა, ვიღოვ ჩოხა და ჩექმები, მაგრამ საქმე შეგზავნა იყო. სასამართლო 8 თვე მიმდინარეობდა და ციხის მომსახურე პერსონალი მცნობდა, თანაგრძობით იყვნენ განწყობილი, რადგან სამ პატიმართან დავდიოდი და მშვენივრად იცოდნენ, ეს რა სირთულეებით იყო დაკავშირებული. მითანაგრძობნობდნენ და ცდილობდნენ, რიგში არ დაგვეყენებინენ, ერთმანეთს ღიმილით და მოყვარულად ვხვდებოდით, ვისარგებლე ამ კეთილგანწყობით და ჩოხა-ახალუხი ისე დაგვეცხვ და შევავიწოე ამ ყოველდღიურ სამოსს, რომ გარედან არ ჩანდა. ამან დაგვიდოდა ტანსაცმელი მიიღო, ჯერ ჩექმასზე მიდგა. მაიმობი სახით მივაწოდე ციხის თანამშრომელს “ფორთოჩკაში” ჩექმა და ესეც ფეხსაცმელი-თქო, დავაყოლე. მეგონა, ფუტას არ გახსნა, მაგრამ აშკარად არ ჩაჯდა მის მიერ წარმოდგენილ ფეხსაცმლის ზომებში ჩემს მიერ მიწოდებული ფეხსაცმლის ზომს და ფუტა გახსნა! ერთ ნახვად დირდა მისი სახის დანახვა! ვინს რომ მოვიდა, რა, კამერაში უნდა იტყვოსო?! – მითხრა, სასწრაფოდ გაიქცა და ტანსაცმლის ნაწილიც გახსნა, ატყდა რა ატყდა! ჩოხას რა უნდა კამერაში და ციხის უფროსიდან დაწყებული, რიგითი თანამშრომლით დამთავრებული, ყველა ზვიადის კამერაში მიბრბოდა თურმე, გაგვაგებინენ, შენი და ჩოხას რატომ გიგზავნიანო!

მოკლედ, ზვიადმა, ლოთიმ და ნუგზარმა თავისი გაიტანეს და განაჩენის დღეს ჩოხები ემოსათ სასამართლო სხდომაზე. როგორც გავიგეთ, პროტესტის ამ ფორმას მთავრობამაც სერიოზული რეაქცია მოჰყოლია, თვით შევარდნაძეც კი აღმფრთხილებულა! მიზანი მიღწეული იყო! განაჩენის დღეს დარბაზი გადაივლო გულშემოტკივრებით და ქურდნაღისტებით. ყველა მოვლენის ცენტრში ცდილობდა ყოფნას, მსაჯულმა ქალებმა პროცესის დაწყებამდე გამიძიეს, ამით მივხვდით, რომ ზვიადს დახვრეტის მუხლი არ დაუტოვეს. 15 წლიანი სასჯელი აუმარა შევარდნაძის მთავრობამ. ეს იყო სახლური იმისა, რომ სახელმწიფოს გადატრიალებას არ დაეთანხმა და ამ გზით მოსულ მთავრობასთან არ ითანამშრომლა. ლოთი ქობალიას, ნუგზარ მოლოდინაშვილის და ჯამბულ ბოუჩუაშვილის მისჯვით წლები არ მახსოვს, მაგრამ ისინიც საკმაოდ გულუხვად “დაასაჩუქრეს”!

განაჩენის გამოცხადებისთანავე, მისამართულ აღუქმანდრე ალადაშვილი და მსაჯულები სასწრაფოდ გავიდნენ დარბაზიდან, დედამ არ მომიშორებია, ცუდად არ განდევნა-მეთქი, მაგრამ ის ამყავდა თავაწეული იდეა და მრისხანე სახით აპროტესტებდა განაჩენს. სიმწრისგ

ან გული ყელში ამოვიჯდა, სკამზე ავედი და “შავლეგოს” სიმღერა წამოვიწყე, მაგრამ ვერა... ხმა არაფრით არ ამომდიოდა ყელიდან. ამ პროცესზე დასასწრებლად სჭირდებოდა ჩამოსული ლილი მოწყობილი იდეა ჩემს გვერდით, გამოხედა და ჩანაფიქრს რომ მიმიხვდა, ისეთი ომბიანი ხმით დასჭექა “შავლეგო შენი შავი ჩოხა”... რომ მთელი დარბაზი აიყოლია. ამ ყველაფრის დაგვირგვინება იყო რომელიღაც გულშემოტკივრის მიერ მოტანილი დროშა, რომელიც ამყავდა ფრიალებდა და ხელიდან ხელში გადადიოდა. სასამართლოს შენობა სავესტო ბაღრავით და დაცვის თანამშრომლებით, ისინიც მოდიოდნენ და გველოცავდნენ, დახვრეტას გადარჩითი. ძლივს ჩამოვფორთხდი სკამიდან და ნათესავებით, სამტრედიელებით, მეგობრებით გარშემორტყმული კოლონად დავეშვით რუსთაველზე, წინ მერე პროცესი მელიოდებოდა, მერე მისი და მეუღლის, ბრალდება იგივე: “სამშობლოს ღალატი”.

– სამტრედიამო უფრო ხშირად გიხდებოდათ ყოფნა თუ დედაქალაქში? არაერთხელ მინახისხართ დედაქალაქშიც ეროვნულ ძალთა გაერთიანების აქციებზე...

– მიტინგები და აქციები ქვეყნის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო 80-იანების მიწურულს. რამდენიმე აქციამე ქუთაისში ჩავედი, თბილისში ნამდვილად არ მივდიოდი აქციებზე, ინფორმაციორები, ზვიადის და კობას სახით სახლში მყავდა... ჩემს სახლში მზადდებოდა გაზეთი “სამტრედია”,

როცა სტატიები სათანადოდ დაიხვეწებოდა, მხოლოდ მერე მიჰქონდათ სტამბაში, ეროვნული მოძრაობის ყველა აქტიური მონაწილე ჩვენთან თათბირობდა და მიდიოდნენ საერთო აზრამდე. ასე რომ, აქციებზე საირაულს საერთოდ არ ვთვლიდი სპიროდ. მით უმეტეს, სამსახურში საკმაოდ დატვირთული რეჟიმი მქონდა. პროტესტის აუტანელი გრძნობა და აქციებზე საირაულის სურვილი 1991 წლის 22 დეკემბრის მერე გამიძნდა, როცა იარაღით ხელში დამახეს ხელისუფლება და დემონსტრაციის სახელით “იარაგებოდნენ” კამერების წინ. ვერაფრით გამეგო, ადამიანების სისხლში ხელგასვრილ ხალხს ხმის ამოდების უფლება რატომ ჰქონდა? უფრო საძულველი ადამიანი, ვიდრე თენგიზ სიგუა იყო, ჩემთვის არ არსებობდა იმ პერიოდში!

– უშუალოდ თქვენზე რა სახის მუქარა, დევნა და შევიწროება განხორციელდა?

– 1992 წლიდან მე და დედა მთელ საქართველოს ვიფავით მოღებულები, რადგან ზვიადს და კობას შინ არ დაედგომებოდათ და ძებნილებად იყვნენ გამოცხადებულნი, რომელი ქალაქიდანაც ინფორმაცია მოგვივიდოდა, მათი ყოფნის შესახებ, მე და დედა იმ ქალაქში მივდიოდით. ეს იყო სოხუმი, ბათუმი და უმეტესად, თბილისი. სანამ ბიჭები არ დაიჭირეს, მანამდე აქტიურად დავდიოდი ყველა აქციამე, 1993 წელს სამსახურიდანაც გამათავისუფლეს და ყველაფერს ერთად ვაპროტესტებდით!

1992 წლიდან მარტო დავრჩით სახლში, ზვიადის და კობას თანამოაზრეები და მეგობრები არ გვტოვებდნენ, ხშირად გვაკითხავდნენ და მატერიალურადაც გვეხმარებოდნენ, ყოველდღიურად აუცილებლად სტუმარი იყო ჩემს სახლში. სამტრედიამო ახალი გამგებელი იანიშნა, შეიცვალა მმართველობა, თავდაპირველად მე და დედამ არავინ შეგვხვებოდა, თუმცა ჩვენთან რა უნდოდათ, 2 კაცი სახლიდან გავიქციეს და დეპუტატი-პრეფექტი ძებნილად და დამნაშავედ აქციეს! სამტრედიამო წამყვანი “შხედრონილები”, ძმები ვამაყობენ იყვნენ, თავდაპირველად მათ შემოგვითვალეს: მშვიდად იცხოვრეთ, ქალებთან სადავო არაფერი გვაქვსო, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, როცა “შხედრონის” და

მატებითი ძალები შემოიყვანეს დასავლეთ საქართველოში. სამეგრელოს დამოშინება სჭირდებოდა ელუარდ შევარდნაძეს და ადგილობრივი ძალებით იმ ამბოხის ჩაქრობა, რაც ზვიად გამსახურდიას მთავრობის ჩამოგდებას მოჰყვა, არ ხერხდებოდა. ამიტომ დაიარაღა აღმოსავლეთ საქართველოდან “შხედრონისა” და “გვარდიელების” გარკვეული ნაწილი და განლაგდნენ დასავლეთში. სამტრედიამიც საკმაოდ დიდი კონტინენტი იყო განთავსებული. დაიწყო ფიზიკური ანგარიშსწორების, დამინების და სამსახურებიდან მოხსნის პერიოდი. ყველას ერთმანეთის ეშინოდა და თუ ვინმე ცოტა შეძლებულად ცხოვრობდა, შინით ათენებდა და აღამებდა, რადგან ეს შეიარაღებული ხალხი არც ყანალობას თავილობდა! ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა, ცხენისწყლის ხიდზე საგუმაგო მოეწყო და ყველა გადასვლულად-გადმოსვლულს ამოწმებდნენ. მარნიდან კი ზვიად გამსახურდიას მომხრე ფორმირებები იდგნენ. ტელევიზია ყოველდღე გადმოსცემდა მიტინგების დარბევებს და მშვიდობიანი მოქალაქეების დახვრეტის ფაქტებს. თუ სამტრედიელი “გვარდიელები” “შხედრონილები” მე და დედამ გვერიდებოდნენ, კახელებს და ქართლებს ეს გრძნობა საერთოდ არ აწუხებდათ, არც გვერიდებოდნენ, გვაკითხავდნენ სახლში, ზვიადი და კობა ჩაგვებრძინებო!

ერთ დღეს, ჩვენი სოფლიდან, მარნიდან მოვიდა ჩვენი მეგობარი ანა ბიბიგორი და მოვიხვევა, ხიდზე გადმოსვლისას შემამოწმეს და პირადობაში გვარი რომ ნახეს, მთელი ერთი საათი მაყურებდნენ, არ გამომიშვეს, შენ ზვიადის და კობას და იქნები და უნდა დაგაპატიმროთ! არ იყო იოლად მოსასმენი ინფორმაცია, არც რეალობას მიკლებული! იმ დროს ზვიადისგან ისეთი დანაშაული იყო, კიდევ დაგვიკრძნენ ამის გამო და კიდევ მოგკლავდნენ! ზვიადის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ავთო ადეიშვილი სასტიკად სცემეს და თვეობით იწვა საავადმყოფოში, გავიგეთ, რომ ალექო ვახანიაც სასტიკად სცემეს და ესეც არ აუმარეს, ამოდენა კაცი სეფში ჩაეკეტეს. ვაკვირებულები ვფიქრობდით, სეფში როგორ უნდა ჩასვა ადამიანი-თქო, მაგრამ როცა მე და დედამ ალექო ვახანი, მივხვდით, რა გვეშუქულ ხალხთან გვექონდა საქმე, ალექო ვერ ვიცანით, სისხლჩაქცევებისაგან კაცი ლურჯ-შავი იყო, მოძრაობა არ შეეძლო, პატარა სეფში საათობით ფიფინსაგან კედლები გაშუქებული ჰქონდა და მე რომ დამინება, კინაღამ გავიყადა. შენ კიდევ სამტრედიამო ხარ, არ წასულხარო? ის ჩემი ჯვალაუბი სულ იმას მიძახდნენ, ჯერ სად ხარ, ხვალ მარინა ბიბიგორს დაგვიკრძნენ და შენი თვალით გაყურებინებთ მის სეირს, მაგის დაჭერას რომ გაიგებენ, მისი ძმები სასწრაფოდ ჩაგვებრძინებო. გულგახეთქილები წამოვედით სახლში მე და დედა, ცალკე იმ სურათისგან, რომელიც ვხვებით და ცალკე სამშობლოსისაგან, რაც მელიოდა. მაინც არ მიფიქრია დედამ დატოვება და ქალაქიდან წასვლა, სამსახურში ჩვეულებრივ დავდიოდი, ერთ დღესაც ვილაკამ გავითხარა, “შხედრონილები” თქვენთან ოჯახში მოდიანო. დედამ ფეხი არ მოიცვალა სახლიდან, მე ვერ შემეხებოდა, შენ კი სახლიდან გადადი, თვალში ნუ შეეჩხრებიო. ჩვენი მეზობელი მამული ზამთარადე და მისი ოჯახი ჩვენი მხარედად იყო და გაბეული ხალხი იყო. თვეების განმავლობაში, გადატრიალების შემდეგ, მათთან გვეძინა, რამდენჯერმე, უხერხულობის გამო, რომ არ გადავდიოთ მათთან, მამულიმ სახლში გადმოგვაკი-

თხა მე და დედამ და წავიყვანა: უთქვენოდ არ ვიფანშებოთ, აუცილებლად უნდა წამოხვიდეთო! ასეთი დამოიდებულებით გულმოცემულმა ზამთარადეების ოჯახს შევადარე თვაი და იქიდან ვუყურებდი, 8-10 შეიარაღებული ადამიანი როგორ მივიდა ჩვენთან სახლში. გული მისკდებოდა, დედამ რაიმე არ დაუშავინ-მეთქი, მაგრამ ჩემმა ფონალმა და უშიშარმა დედამ 15-20 წუთში გამოყარა ისინი სახლიდან.

თუ კაცები და ვაჟკაცები ხართ, ამ ცარიელ სახლში რას ეძებთ, ჩემს შვილებს იარაღი თან აქვთ, ახლოს არიან, ცხენისწყლის ხიდთან, მიდით და წარ-

ამ იმ პერიოდში სამართლიანობასა და საქმის გამოძიებაზე შედმეტი იყო საუბარი!

– მისასალმებელია, რომ საყოველთაო ტერორის და “შხედრონის” რამდენიმედიანი პარპაშის დროს მაინც გყავდათ თანამოაზრეები. გახსოვთ შემთხვევა, რომ ვინმეს ბოდიში მოუხადოს თქვენი ოჯახის წინაშე ჩადენილი უღირის ქმედებების გამო?

– სამტრედიის კომუნდენტად დანიშნული იყო ვინმე წინწყალაძე, რომელიც აგრესიით და უხეშობით ცნობილი მალევე გახდა. ის ყოველდღე შეიარაღებულ ხალხს აგზავნიდა ჩემს სახლში და ვითომ იარაღს ეძებდნენ. დედა ისე შეეჩვია იმით ვინიჭებს, რომ არც კი დაჰყვებოდა უკან სახლის შემოვლისას! ერთ-ერთი ვინიჭებისას თვითონ ჩაულავებოდა ავტომატები სკვრში და დედამ დაუძახეს, ნახეთ, ქალბატონი, რა ვიპოვეთო! დედა ჯერ გაოგნდა და მერე ისეთი დღე აყარა ამ “ვაჟკაცებს”, რომ მათვე გაატანინა იარაღი და თან გააფრთხილა: სხვა დროს არ გაბედოთ და ჩამიღოთ იარაღი, თორემ ჯერ ჩემთან გექნებათ საქმე და მერე ჩემს შვილებთანო!

როგორც კი სამეგრელოში მძიმე ვითარება შეიქმნებოდა, წინწყალაძე სამტრედიამო დაეროდა “ზვიადისტებს”, ერთ-ერთი დაწოების დროს ჩვენს ოჯახზე შეტევა გადაწყვიტა და სახლში, ღამის 11 საათისთვის, მიგროავტობუსი გამოგზავნა, რომელიც სავსე იყო იარაღიანი ადამიანებით. მიყვებოდა, ჯარისკაცები იყვნენო! ბრძანება გვაქვს მიღებული, ძიბიგურების სახლში ვინც არის, ყველა უნდა დაგაპატიმროთ! სახლში კი დედამ გარდა, სოხუმის დაბომბვებს და ტყვეებს გამოქცეული ჩემი დედა და არასრულწლოვანი დედაშვილი იყვნენ. დედამ კატეგორიულად განაცხადა, თქვენ მხოლოდ მე გჭირდებით, ჩემს დას და პატარა ბავშვს თვაი დაანებეთო და შუა ღამეში გაჰყვა მათ მილიციამში. იქ განვითარებულ მოვლენებზე მერე დღეს მთელი ქალაქი ლაპარაკობდა! მთავრად წინწყალაძე დედამ ისეთი დღე აყარა თურმე, რომ ეს ახმახი კაცი თანამშრომლებს ეჩხუბებოდა, რატომ არ დამეხმარეთ, ეს ქალი ვინ ყოფილა, მაგის შვილები, წარმომადგენია, ვინ იქნებიანო! ნაზი ზზიავა აქ მოყვანილი არ დამანახოთო!

სახლში განაფხვლები დავბრუნდი, მთელი 5 თვე “შხედრონის” შინით სამტრედიამო ვერ ჩამოვდიოდი. სამსახურიდან, რა თქმა უნდა, მომხსნეს!

ამდენი წლის შემდეგ დიდი მადლობა მინდა გადაუხადო იმ ხალხს, ვინც ჩვენს ოჯახს გვერდით ედგა, არ მიუტოვებოდათ და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან მოხვლა არ იყო უსაფრთხო, ყოველ წამს შეიძლებოდა დაეჭირათ ჩვენი სტუმარი, მაინც მოდიოდნენ, მართალია, ადგილობრივი “შეგზური”, ალბათ, მანქანაში დაიძალა, რომ არ გვეცენო! წავიდნენ, მაგრამ დედამ კატეგორიულად მომთხოვა, სახლიდან წადი, ესენი ყველაფრის მკადრებელი არიანო!

ჩემი მეგობრის, ელიო ანკაბის ძმამ დამით გადამიყვანა მდინარე ცხენისწყალზე, სიბნელეში, ფონი ვიციო და... ცხენისწყალი ადიდებული იყო, წინა დღეებში წვიმადა, მაგრამ საოცრად თბილი წყალი იყო! თქტომბერი იდეა! იძულებული გავხდი, ფარულად, პარტინანულად გადავპარულიყავი და მარანში ჩემს ძმებს შევეკრებოდი. ერთი ფაქტი მაკვირებდა, სამსახურში (სამტრედიის რ/ც ავთოაქი) ყოველდღე დავდიოდი, თუ ჩემი დაჭერა უნდოდათ, იქ რატომ არ მოდიოდნენ და რატომ დამეძებდნენ სახლებში.

რამდენიმე დღეში გავიგე, რომ სახლიდან ჩემი დევილი ბიძის მანქანა წავიყვანეს. კაცმა სოხუმიდან ჩამოიყვანა მანქანა და საიმედო ადგილზე ჩვენთან შეაფარა, აქ კი ამ ავანაგებმა წაართვეს! საქმეც აღიძრა პროკურატურაში, მაგრ-



ნათია ნაცვლიძე, მარინა ბიბიგორი და ალადაშვილი

ლიზან გაგინაძე

უბრალო ადამიანი...

“წესიერი ადამიანი ყოველთვის უბრალოა.”

ალექსანდრე ბუჩინი

საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ სამტრედიის უკვე ყოფილ საქადრეკო კლუბში გამართული საქადრეკო ფესტივალი-ღონისძიებები, იმ თავითვე სპორტულ დღესასწაულად რომ გადაიქცეოდა. მართალია, საქადრეკო კლუბი დღეს ისტორიის კუთვნილებაა, თუმცა, ჭადრეკისადმი სიყვარული სულაც არ განუღებიათ სამტრედიის. სამტრედიელი მოჭადრეკეებიც არ დაუღატობენ ტრადიციებს და წარმატებებს წარმატებებზე აღწევენ.

ჭადრეკი და ბატონი მერაბ არჩვაძე განუყოფელი მცნებებია. და მაინც, ვინ არის მერაბ არჩვაძე?

იგი სამტრედიის დაბადდა. წარჩინებით, ოქროს მედალზე დაამთავრა ნაბაკეის საშუალო სკოლა და შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი რადიოინჟინრის სპეციალობით. წლების მანძილზე იმუშავა ბატონმა მერაბმა ჩვენი რაიონის უმსხვილეს საწარმოებში პასუხსაგებ თანამდებობებზე. დღეს იყო ჩაი-მექანიკური ქარხნის ელექტროლაბორატორიის უფროსი და გეგანტი საწარმოს, ხის დამამუშავებელი კომბინატის დირექტორის მოადგილე მომარაგების დარგში.

ბატონ მერაბს მოსწავლეობიდან იტაცებდა ჭადრეკი, ამდენად, არაა საკვირველი, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა რაიონისა და საქართველოს საქადრეკო ცხოვრებაში, მისი უშუალო მონაწილეობით ეწყობოდა რაიონული, რესპუბლიკური და საკავშირო ტურნირები

ჭადრეკში.
– საქართველოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი, საქართველოს პირველი ჩემპიონი მიწერ-მოწერით ჭადრეკში, საზოგადოება “სპარტაკის” რესპუბლიკის ჩემპიონი, ვაჟთა შორის სამტრედიის მრავალგზის ჩემპიონი, რესპუბლიკური ფესტივალის “საქართველო 50-ის” გამარჯვებული (1971 წელი)... აი, არასრული ჩამონათვალი ბატონი მერაბის სპორტული მონაგარისა.

ღვაწლმოსილი სპორტსმენი დღესაც მწყობრშია, მისი მონაწილეობისა თუ სტუმრობის გარეშე მნიშვნელოვანი საქადრეკო ღონისძიებები წარმოუდგენელია როგორც სამტრედიის, ისე იმერეთსა და საქართველოში. ჭადრეკის სამყაროში მის პოპულარობაზე, ავტორიტეტზე მეტყველებს ყოველივე.

საყოველთაოდ აღიარებული და ცნობილი დიდოსტატები, სპორტსმენები მაღალ შეფასებას აძლევენ ბატონი მერაბის მოღვაწეობას ჭადრეკის სამყაროში. განსაკუთრებით ახლობლობდა მასთან დიდოსტატი, ბატონი დავით ბრონშტეინი. ბატონმა დავითმა მერაბ არჩვაძეს არაერთი საგანთო სტატია მიუძღვნა.

ბატონი მერაბ არჩვაძის ლამაზ ბიოგრაფიას ლამაზ სამშენისად გასდევს ის რეალობა, რომ მან არაერთი ცნობილი მოჭადრეკე აღზარდა, აგრეთვე, ურთიერთობა იმ ცნობილ და აღიარებულ მოჭადრეკეებთან, შორს რომ გაუთქვეს სახელი სამტრედიას, საქართველოს, ჭადრეკს. თბილ სიტყვებს არ იშურებს საყვარელი მწვრთნელისადმი და პატივის-



ცემით ულოცავს სახელოვან იუბილეს ბატონ მერაბს, წარსულში სამტრედიის ჩემპიონი ჭადრეკში, არაერთი ტურნირის მონაწილე, ქალბატონი ნატო მელია.

სიჭარმაგე ის ხანაა, როცა ადამიანი განვილი ცხოვრებას უნდა გააღვიწოს თვალი, გონება და აწონ-დაწონოს, შეაფასოს გაიხსენოს ის ადამიანები, რომელთა გარემოცვაშიც უხდებოდა ცხოვრება, ვისთანაც თანამშრომლობდა, თუმცა, აქ მასწავრობა როდია მხოლოდ გადამწყვეტი, უნდა შეგეძლოს, გეძველებოდეს სხვათა ღირსებების აღიარება. ბატონი მერაბი სწორედ ის კაცია, დავიწყებას რომ არ ანებებს იმ ღირსე-

ულ სამტრედიელთა ნაღვას, თავიანთი ხელწერა რომ დატოვებს იქ, სადაც მოღვაწეობდნენ.

“სამტრედიის მაცნეს” მეთხველი და გვერდმწერა, როგორ ხშირად გვთავაზობს ბატონი მერაბი ისტორიულ ფოტოებს, ფაქტებს, მოვლენებს, სამტრედიის ჭადრეკის განვითარების ეტაპებს რომ ასახავენ. არც სამშეოდან წასულ ღირსეულ სამტრედიელთა მოგონება და მათთვის სათანადო პატივის მიგება ავიწყდება ბატონ მერაბს.

იცის მეგობრისა და მეგობრობის ფასი.

გასული წლის ნოემბერში ოჯახი, საზოგადოება ღვაწლმოსილ ექიმს, სამტ-

რედიის კოლორიტ კაცს, ბატონ ვაჟა ტერეგლასს გამოეთხოვა. დაკრძალვის დღეს განსაკუთრებული მღვდლარება ემჩნოდა ბატონ მერაბს, ადგილს ვერ პოულობდა, დაუსრულებლად საუბრობდა ვაჟა ტერეგლასთან, მის შესანიშნავ ოჯახთან ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობის შესახებ. მერე როცა რედაქციაში გვეწვია, მორიდებით ვკითხვე: წვერით არასოდეს მინახინართ, რაშია საქმეთქო, და... თვალები დაენმა – ისევ ბატონი ვაჟასა და მისი გაუხუნარი მეგობრობა ახსენა, ცხადი გახდა ყოველივე...

საათობით შეუძლია ბატონი მერაბის კაცურკაცობაზე საუბარი ჩაი-მექანიკური ქარხნის ღვაწლმოსილ ინჟინერს, ქარხნის დამკვეთი ბუროს ყოფილ უფროსს, ბატონ ნოდარ სტურუას, წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ ისინი ჩაი-მექანიკურ ქარხანაში და ამჯამადაც აგრძელებენ ურთიერთობას.

... მიუხედავად იმისა, რომ ბატონი მერაბი “სამტრედიის მაცნეს” რედაქციის სასურველი სტუმარია, რედაქციაში ყოველ მოსვლას ტელეფონით “გვითანხმებს”, “თუ გეცლებათ ცოტა დროს წაგართმევთ”, გვეტყვის და ვიცით საქალაქში რომ გვესტუმრება ჩვენი უფროსი მეგობარი. ვერც მნიშვნელოვანი თარიღებისა და დღესასწაულების მოლოცვას მოასწრებს ვინმე.

იუბილარია ამ დღეებში ჩვენი რაიონის სახელოვანი ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, სანაქებო ოჯახის თავკაცი, ჭადრეკში ეროვნული ოსტატი ბატონი მერაბ არჩვაძე.

მხნობას, ჯანმრთელობას, წელთა სიმრავლეს ვუსურვებთ მას კეთილისმყოფელთა გასახარად.

სურათზე: ბატონი მერაბ არჩვაძე სოფიო ტერეგლასსა და ზეინაბ ზეველიძესთან ერთად. 1982 წლის 10 აპრილი.

იხილეთ გაგინაძე

2019 წლის 5 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩატარდა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ჭადრეკში ქალთა შორის. მასში მონაწილეობას ღებულობდა პლანეტის 10 უძლიერესი ქვეყნის ქალ მოჭადრეკეთა ნაკრები გუნდები, მათ შორის იყო ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდიც. მის შემადგენლობაში იმყოფებოდა საერთაშორისო დიდოსტატი, ამავე რანგის შეჯიბრებებში მსოფლიოს 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი, ჩვენი რაიონის მკვიდრი მერი არაბიძე. ჩვენმა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა და ჩინეთის, რუსეთის, უკრაინისა და სხვა უძლიერეს გუნდებთან მძაფრ კონკურენციაში შესძლო საპატიო მესამე საპრიზო ადგილზე გასვლა, რაშიც დიდი იყო მერის წვლილიც. მან გუნდის მიერ მოპოვებულ მთავარ პრიზთან ერთად მეორე დაფაზე წარმატებული თამაშისათვის მოიპოვა ვერცხლის მედალი.

აღსანიშნავია, რომ ნაკრების ყაზახეთში გამგზავრებად, საქართველოს რადიოში მიიწვიეს ჩვენი ნაკრების დამრიგებელი, თავის დროზე მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭადრეკის, მსოფლიო ჩემპიონის, ანატოლი კარპოვის, მწვრთნელი ბატონი ელიზბარ უბილაძე, რომელმაც გადაცემის მიმდინარეობისას არაბიძის შესახებ შემდეგი რამ თქვა:

“მეორე დაფაზე მინდა, რომ მერი არაბიძემ ითამაშოს, ყოველთვის ისეთი წარმოდგენა მქონდა, რომ მერის აქვს დიდი პოტენციალი და მას შეუძლია მაღალ დონეზე ითამაშოს. ამასთან, ტაქტიკური მხედველობაც

საკმაოდ კარგი აქვს, სხარტად აზროვნებს და შუა თამაშშიც კარგად მიჰყავს, აგებს სწორ მიმართულებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველივე ეს არის იმის მიზეზი, რომ მე მივიღე გადაწყვეტილება, მან მეორე დაფაზე ითამაშოს”.

ვინც ტურნირის მიმდინარეობას თვალს ადევნებდა, დამეთანხმება,



რომ ჩვენს გოგონებს ყველაზე მძაფრი ბრძოლა უკრაინის და რუსეთის ნაკრებ გუნდებთან ჰქონდათ. სწორედ ამ გუნდებთან დაფიქსირებულმა შედეგებმა მნიშვნელოვანი წვლილი განაპირობა ჩვენი ნაკრების საპრიზო სამეულში შესვლა. უკრაინის ნაკრებთან გამართული შეხვედრის შემდეგ, რადიო “იმედის” სპორტულმა მიმომხილველმა ქართველ გულშემატკივრებს მატჩის შედეგი შედეგი სიტყვებით ამცნო:

“ჩვენმა ნაკრებმა უკრაინის უძ-

ლიერეს ნაკრებთან პოზიტიურ შედეგს მიაღწია, თავიანთი შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს ბელა ხოტენაშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა, სამწუხაროა, წააგო ნინო ბაციაშვილმა; გვიხსნა მერი არაბიძემ, სამტრედიელმა გოგონამ შავი ფიგურებით დაამარცხა მსოფლიოს რეიტინგის მე-5 მოჭადრეკე ანა მუხინიჩი”.

რაც შეეხება რუს მოჭადრეკე ალექსანდრა კოსტინიუტთან შეხვედრას, რომელიც ასევე მსოფლიოს რეიტინგის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე იმყოფება, მასთან შეხვედრა მერამ ყაიმით დაამთავრა.

ყაზახეთიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს რადიოში, კვლავ იქნა მიწვეული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მოჭადრეკე გოგონებთან და დღევანდის სხვა წევრებთან ერთად, რომელთა შორის იმყოფებოდა ასევე ჩვენი რაიონის მკვიდრი, საერთაშორისო დიდოსტატი, საქართველოს მრავალგზის პრიზიორი და ჩემპიონი, ქვეყნის ვაჟ მოჭადრეკეთა ნაკრები გუნდის წევრი დავით ჯოჯუა, რომელსაც, როგორც მთავარი მწვრთნელის დამხმარეს, დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ქალ მოჭადრეკეთა ნაკრები გუნდის 2015 წელს მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებასა და მიმდინარე წელს ყაზახეთის ქ. ასტანაში მოპოვებულ წარმატებაში. მართალია, მიწვეული იყო, მაგრამ საქართველოს რადიოს სტუმართა შორის არ იმყოფებოდა ამ

ბატონ მერაბ არჩვაძეს!

ჩვენი ოჯახის გულწრფელი და ერთგული მეგობარი!

გულითადად გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს – 75-ე წლისთავს. ცხოვრების გზა ღირსეულად განვლე. გამშვენებს ნათელი წარსული, ლამაზი ოჯახი და მონაგარი, მაღალი ინტელექტი, პროფესიონალიზმი და საქადრეკო საღვთმლო ამოცნობის არაჩვეულებრივი უნარი. სიამაყით შეგიძლია გაიარო შენს მშობლიურ ქალაქში, სამტრედიის მრავალგზის ჩემპიონ ჭადრეკში და არაერთი რესპუბლიკური თუ საკავშირო ტურნირების გამარჯვებული, როგორც საერთაშორისო დიდოსტატი დავით ბრონშტეინი იტყვია. ჭადრეკის ენციკლოპედიური განათლებით გამორჩეული.

გმაღლობთ, მერაბ, ხალასი მეგობრობისთვის, რაც ვაჟასთან თითქმის ნახევრსაუკუნოვანი ურთიერთობით დაამტკიცე და ტკვილის უზომო თანაზიარებისთვის, პედაგოგიური ღვაწლისთვის და იმისთვის, რომ არსებობ, კვლავაც იღვწით ჭადრეკის განვითარების ხელშეწყობისთვის, საქადრეკო ისტორიის შექმნისთვის, რასაც სამტრედიელი მეთხველი მომავალში იხილავს.

კატინისგანით ნათელა გალიძე

წერილის მთავარი გმირი. როგორც ჩანს, თბილისში ჩამოფრენილს გულმა მშობლიური რაიონისკენ გაუწია, მით უფრო დასაფასებელია ბატონი ელიზბარ უბილაძის მიერ მისი მისამართით წარმოთქმული საქება სიტყვები: “მერამ ითამაშა არაჩვეულებრივად, შესანიშნავად, ვაჟაკურად, იგი დიდი შემართებით ყოველგვარი შიშის გარეშე იბრძოდა, უძლიერეს მოჭადრეკეებთან პაექრობისას”.

გასაგები მიზეზის გამო ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ მხოლოდ მერი არაბიძის შესახებ, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაკრების თითოეული წევრი ასევე შემართებით იბრძოდა თავიანთი მოწინააღმდეგე-

ების წინააღმდეგ და ყველამ თავისი წვლილი შეიტანა საბოლოო წარმატებაში. გულწრფელად მით ამ წარმატებას! მიმდინარე წლის 19 მარტს დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის ქალ მოჭადრეკეთა შორის. ნაკრების წევრთა უმრავლესობამ ყაზახეთში გამართული დაძაბული ტურნირის შემდეგ, გაძლიერების მოტივით, უარი განაცხადა ამ ტურნირში მონაწილეობაზე, მერის კი გული ისევ ბრძოლისკენ მიუწევს, ჩვენ ვერ განვსჯით სწორია თუ არა მისი გადაწყვეტილება, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მას მხოლოდ წარმატებას ვუსურვებთ!

ნინო სტურუა

ელვი ბოლქვაძე ევროპის ჩემპიონატის პირველი მედალოსანი

8 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით სერბეთის ქალაქი ნოვი-სადი მასპინძლობდა ევროპის ჩემპიონატს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 23 წლამდე მოჭიდავეთა შორის. ამ პრესტიჟულ ტურნირზე სამტრედიის საჯიდაო კლუბ "ფალავანის" (კლუბის დირექტორი ირაკლი მელაშვილი) სპორტსმენებმა იასპარეზეს. მათგან ედემი ბოლქვაძემ 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოსინჯა ძალები და მეორე საპირისპირო ადგილი დაიკავა.



მან ოთხი შეხვედრა გამართა და ფინალური შეხვედრა მცირე უპირატესობით დათმო. აღსანიშნავია ედემის მიერ მოგებული ორთაბრძოლები, მან დაამარცხა რუმინელი, უნგრელი და მაკედონელი მეტოქეები აშკარა უპირატესობით (11:0).

გულჯავთ ამ წარმატებას მის მწვრთნელს ბიძინა მელაშვილსა და ზაზა არქანიას, კლუბი "ფალავანის" დირექტორს ირაკლი მელაშვილს, ედემის მშობლებს და ყველა გულშემოტიკვარს. ვუსურვებთ სპორტსმენებს წარმატებულ ასპარეზობას მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ესტონეთში ავგისტოს თვეში გაიმართება. მას არაერთხელ გაუხარებია სამტრედიელი გულშემოტიკვარი და გვჯერა, კიდევ არაერთგზის გაგვახარებს ბრწყინვალე გამარჯვებით.

ნათია ნაცვლიძე

მხოლოდ პირველი ადგილი!

საქართველოს დელეგაცია 8-10 მარტს უმსპინძლა რესპუბლიკურ ტურნირს კიგობისხეში, რომელშიც სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კიგობაძე) კიგობისხელები მონაწილეობდნენ, მწვრთნელ-მასწავლებელ კობა კიკაჩიშვილის ხელმძღვანელობით.



დაძაბულ ბრძოლებში პირველი ადგილი ზვიად და გიორგი კვანციანიანებმა, ლუკა და ავთო კობალიანიებმა, ლუკა კიკაჩიშვილმა და ლადო არჩაიამ დაისაკუთრეს. პირველი ადგილი მოიპოვა აგრეთვე მწვრთნელ-მასწავლებელმა კობა კიკაჩიშვილმა. შესაბამისი პრიზებით დაჯილდოვდნენ ჩვენი სპორტსმენები.

მსგავსი წარმატებები უდავოდ მისასალმებელია და ნაყოფია იმ დაუღალავი გარჯისა, რასაც სამტრედიელი კიგობისხელები ეწევიან. "სამტრედიის მაცნე" გულწრფელად ულოცავს პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენებს გამარჯვებას და ახალ წარმატებებს უსურვებს სამომავლოდაც.

ლევან გაბუნია



გაზაფხულდა

ლევან გაბუნია

ვიდრე მამლები ყოილით უხმობენ ალიონს, ისინი ფეხზე დგანან და ყველაფერს აკეობენ, ყოველი ახალი დღე რომ დღესასწაულად გვიქცეოდნენ. სუფთა, დაგვილი, ნაკვირვანი გათავისუფლებული ქუჩები, ბაღები, სკვერები დაგვახვედრეს და ყოველდღიური საფეხქალით დამძიმებულებს ცხოვრება გაგვიღამაზონ.

არბიელო ვითარება მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოებში, ეზოებში, ქალაქის ცენტრში გამავალი დელე-მდინარეები, რომელთა სანაპიროები ხელისუფლებისა და შესაბამისი სამსახურების მუშაკთა ჩართულობით არაერთხელ მოწესრიგდა, კვლავ ანტი-სანიტარიაა.

გაზაფხულდა და გარდა შესაბამისი სამსახურისა, არაფერს მოსვლია აზრად ხე-მცენარეები დაერგოთ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე. მართალია, ცხელი ზაფხული ჯერ არ შემობრძანებულა, მაგრამ საოცრად თბილმა გაზაფხულმა ხალხი ნაადრევად გამოიყვანა ქუჩებში და ნაზამთრალი ქალაქის შუქ-ჩრდილებიც თვალშისაცემია. მხოლოდ უარყოფით ფაქტებზე როდი გვაქვს აქცენტი. არა, ობიექტურად განმსჯელი დაგვეთანხმება, რომ თუ მონდომებაა, ყველაფერი გამოგვივა. რეინიგზის ვაგზალი ჩვენი ქალაქის საეიზიტო ბარათია. ბოლო ხანს აქაურობამ ნამდვილად იცვალა სახე. ზამთარ-ზაფხულ ვაგზლის მიმდებარედ ჭრელა-ჭრულა ყვევლები აცილებენ ქალაქიდან მიმავალთ და ჩამოსულთაც პირველად ისინი გვეგებებიან. დიდა ამ კეთილ საქმეში ვაგზლის თანამშრომელთა და ხელმძღვანელის, სოფიო კიკაჩიშვილის, წვლილი. როგორც ვიუსწებოდით, ლამაზი სკვერი გაკეთდა კერძო ინიციატივით ჭავჭავაძის ქუჩაზე ერთ-ერთი სილამაზის საღონის წინ, ამჯერად მისი ავტორი ნიჭიერი რეჟისორი ქალბატონი ლორიტა ჯორჯიანი.

და თავისუფლებისთვის დაცემულ მებრძოლთა პირობით საფლავებს, იქვე კი მზეს მიფიცებულნი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი დგას და... შეიძლება ახსენებენ არა ჩემსა და არა თქვენს, საკუთარ დედებს!

... გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი, ჩვენი სოფელი, ჩვენი ქუჩა, უბანი... და თუ სიყვარულს შევძლებთ, კეთილი საქმეებიც გაკეთდება.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ქალაქი სიმბოლურად სუფთადებოდა. დღეს არათუ ქალაქი, ქალაქის ტერიტორიიდან უკიდურესად დამორბეულ სოფელშიც კი ნაკვირვანი ურნები დაიდგა და, შესაბამისად, სპეცტეჩნიკის მეშვეობით ხდება ნაკვირვანის გატანა. ნარინჯისფეროსასხამიანი ქალბატონები და მამაკაცები ასრულებენ ამ მეტად საბატიო, რთულ და დასაფასებელ სამუშაოს ნარინჯისფერივე ტრანსპორტის დახმარებით.

კომუნალური გაერთიანებისა და გამწვანების სამსახურის მისამართითაც არ გვეთქმის სამღურავი სამტრედიელის, მაგრამ ქუჩებში ხშირად გულს გვტკენს ქალაქისადმი, მისი ქუჩებისადმი უსულგულო დამოკიდებულების არცთუ იშვიათი ფაქტები, "ვაჟაკაცი გამოხტომები".

ძნელი სანახავი როდია მომავლის პარკში დილით გადატრიალებული სანახვეებისა და ძელსაგამების ხილვა. გამაგრებელი სასმელების ქილები თუ მზესუმზირის შესაფუთი მასალა ხშირად ახალდაგვილ ქუჩებში ჰყრია, მიუხედავად იმისა, რომ ბანკომატებთან და ე. წ. ჩასარიცხ აპარატებთანაც დგას ურნები, მათ სახლოვებს მინც ჰყრია თეთრი ფურცლები... სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით არასახ-

კიდევაც დაიზრდებიან...

პირველი მარტია, გაზაფხულის პირველი დღე, ღანიის კულტურის სახლის დარბაზი სავსეა მაყურებლით: მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები. ძალიან ცივა, მაგრამ ყველა სულმთუქმელად ელოდება სცენაზე გამოსვლულ პატარა მსახიობებს, კულისებში კი დელავენი ბავშვები. ზოგიერთისთვის პირველი გამოსვლაა სცენაზე, ზოგისთვის მერამდენედ.

ღანიის საჯარო სკოლის (დირექტორი გ. დანელია) მოსწავლეების მიერ ნაჩვენები იქნება ვაჟა-ფშაველას მითხრობა "სათაური". იხსენება ფარდა, სცენა გაფორმებულია მოკრძალებული დეკორაციით: განჯინა, პატარა დაბალი მაგიდა, სამფეხუნ გარუჯული ქვაბი, სამფეხი სკამები. იწყება პატარა სპექტაკლი. ბავშვებს დაავიწყდათ სიცოცხლე, ერთმანეთს ენაცვლებიან თამაშობენ, ცეკვავენ, მღერიან, დარბაზი კი სულგანაბლული და კმაყოფილია.

თამუნა დანელია, ანა ხაბიშვილი, მათე და მარი დღანდიშვილი, კესო კეკელია, ლეო მიქაძე, ლეო ჯულაყიძე, თენგი ღაღანიძე, ვია კინივაძე, ჯეკო კინწურაშვილი, ლუკა ჯანელიძე, დიმა სახოვია, ალვინა გორგაძე, ნინო მანჯგალაძე - იქნებ ამ ბავშვებს შორის არის ისეთი, რომელიც მომავალში გაჰყვება სამსახიობო ხელოვნებას და ისევე ცნობილი იქნება, როგორც ეროსი მანჯგალაძე, ჯემალ ღაღანიძე, ნიკა წულუკიძე...

ლევან გაბუნია



ციცქნა გულგზი დატყული დედის სიყვარულით

მეთორმეტე საჯარო სკოლის დარბაზი სილამაზით გაზაფხულს ედარება. ულამაზესი დეკორაცია კედელზე – ქალი ჭრელი კაბით – მდეღა გვეგზიძის, დაწყებითების პედაგოგის შექმნილია. ქალი – სიცოცხლის, სიყვარულის, სილამაზის, უკვდავების პირველსაწყისი, დასაბამი! კაცობრიობის გაჩენიდან დღემდე უამრავი ლექსის, სიმღერის მთავარი მუხა და ობიექტი, ოჯახის და კერძის ფუძე და დასაყრდენი!

ჩვენი მასწავლებლები პირველკლასელები არიან, ჯერ ისინი მხოლოდ ლექსითა და სიმღერით ეფერებიან დედებსა და ბებიებს. ახლაც მიუძღვნეს გაზაფხულს ულამაზესი ღონისძიება, დედაზე და დედაშვილურ სიყვარულზე შექმნილი უამრავი ლამაზი სტროფი მოუგროვებიათ. “მოხუცი დედის ხელები მჭკნარი შვილს მთელი ქვეყნის სიცოცხლედ უღირს” – ემოციურად წარმოსთქვამს პატარა გოგონა... გვითხრეს, რომ დედის დღე საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ დააწესა. ციციქნა თითქმის იგივე და ენებლებიც მოუკრეფიათ და დედიკოებსა და ბებოებს გადასცეს. დარბაზში, ზოგიერთ მათგანს, უცხოეთში სამუშაოდ წასული დედის ნაცვლად, ბებიები გულშემატკივრობდნენ. კარგად აზროვნებენ, კარგად მღერაან (მუსიკის პედაგოგი ლელა გოლიაძე), შესანიშნავად ცეკვავენ მთიულურს (ქორეოგრაფი თემურ თევზაძე). ძალიან ენერგიული, ცეცხლოვანი და მუხტის მომცემი ღონისძიება წარმოადგინეს.

ღონისძიება შეაფასა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ონიანმა: “დიდი მადლობა მდეღა მასწავლებელს და ბავშვებს ამ ლამაზი ღონისძიების, დედებო, გისურვებთ, ბედნიერი დედები ყოფილიყავით, შვილი უდიდესი სანუქარაა, აქ მყოფს ზოგიერთს გვედრით არ ჰყავს დედა, გისურვებთ, ყველას ახლოს გიმყოფოთ თქვენი დედიკოები. ყველაზე კარგები მამინ იქნებით ჩემო პატარებო, როცა დღეს აქ ლექსად წარმოთქმულ სიტყვებს აასრულებთ და დედიკოებს თქვენი კარგი ქართველობით გაახარებთ. გისურვებთ, არ შეგერცხვიანთ თქვენი პედაგოგები, მშობლები და საყვარელი სამშობლო”.

ნათია ნაცვლიძე



დედავ, ცხოვრების ღვრიტავ, მამარო...

ნათია ნაცვლიძე

სამტრედიის ერთ-ერთ უძველეს, მეთორმეტე საჯარო სკოლას საგაზაფხულო ზეიმზე ესტუმრობთ. პირველკლასელები პედაგოგს, მარინა მამასახლისის ფუტკრებით გარს შემოხვევან. ისინი თხუტმეტნი არიან, ყოველი მათგანი საოცრად მობილიზებულია, რომ დარბაზში მყოფი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის წინაშე საინტერესო მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინოს! პატარებმა მართლაც შესანიშნავად გაართვეს თავი დაფაღვებას.

– მართალია, ჯერ გაზაფხული მხოლოდ კალენდარზეა, მაგრამ მალე დათბება და გარემო ულამაზესი ფერებით მორთვება, სამყაროს გვირგვინი ხომ ქალია, დედაა, ყველა სიტყვა ხომ ამიტომაც დედით იწყება! – შესაშური თავდაჯერებით საუბრობენ პატარები, უამრავი ანდაზა და ლამაზი გამოთქმა იციან დედაზე, დედაშვილურ სიყვარულზე, საკუთარ დედებს განსაკუთრებული სიყვარულით მიესალმნენ. ყველაღობა უსახ-



ლოვანობის ბოლოს მათ მიესალმა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნინო ონიან: “მადლობა ბავშვებს, პედაგოგებს, მშობლებს, ძალიან ლამაზი ღონისძიება იყო, მეც ვუერთდები მილოცვებს, პატარებო, ვუსურვებ თქვენს დედიკოს ბედნიერებას, ისინი მუდამ თქვენს გვერდით ყოფილიყონ, თქვენი კარგი სწავლით, სიბეჯითითა და შრომით მათი ამაგი დაეფასებინოთ! გვერწმუნეთ, ჩვენ თქვენს დედიკოებზე არანაკლებ შეგვტკივა გული თქვენზე და მუდამ ვიამაყებით თქვენი კარგი ქართველობით! განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ერთ-ერთი მოსწავლის, ვალოდია ვაშაყიძის ბებიას, რომელიც დღეს შვილთაშვილს გულშემატკივრობს.”



“დედიკო, ძალიან, ძალიან, მიყვარხარ!”

მიყვარს გაზაფხული! მისი სურნელი მთელ წელს მიჰყვება ხოლმე, მიყვარს იები, რომელიც ალამაზებს და ახალისებს თითოეულ დედს...

გაზაფხულის პირველი თვეც ხომ მარტია, რომელიც ძალიან წააგავს ჩვენთვის, მამაკაცებისთვის, სასურველი არსების, ქალის ხასიათს. ყველაზე მნიშვნელოვანი ქალი კი ჩვენთვის დედაა.

მეორე საჯარო სკოლის, პირველკლასელები: ანდრია ადამია, მარი ადუიშვილი, ლილე ბებია, მარიამ ხემშიძე, ვაკო გვეგუშაძე, ნიკოლოზ და ნოდარ გიგინეიშვილები, მარიამ გრიგოლია, დავით კაპანაძე, ბარბარე კაცაძე, ჯაბა ლორია, თედო მშვიდლობაძე, ანი ორმოცაძე, გიორგი შანიძე, ანასტასია შენგელია, ანამარია ჯოჯუა. პედაგოგ ნათელა ჯიმშელეიშვილის ხელმძღვანელობით, შეუერთდა ამ ლამაზ დღესასწაულს. თითოეულმა ბავშვმა საკუთარ დედას მიუძღვნა ლექსები, რომლებიც მათდამი უსახველო სიყვარულისა და პატივისცემის მატარებელი განლავეთ.

“ეს ორი სიტყვა – დედა, აყვანი არის სიმბოლო ერის ბედისა, დედა კადილოთ მას ვცეთ თავყვანი, ეს სადღეგრძელოც იყოს დედისა”.

როგორც ყოველთვის დიდებულად იმუშავა, კლასის დამრიგებელმა, ნათელა ჯიმშელეიშვილმა. თუ გავითვალისწინებთ, ბავშვების ასაკს, მივხვდებით, თუ რაოდენ რთულია მათთან ურთიერთობა, ამის მიუხედავად ბავშვებმა ჩინებულად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და დედებს ცხოვრება ერთიორად გაუხანგრძლივეს.



დედა, დედიკო, დე... სიტყვა რომელმაც ასაკი არ იცის, მას ერთნაირად გულწრფელად ამბობს, ჩვილიც მოზრდილიც, ხანში შესული, დაკოვრებულ ხელებიანი მოხუციც.

რამდენიმეწუთიანმა ღონისძიებამ, რომელსაც დავესწარი, ერთი აღუსრულებელი საიმოვნება მომანიჭა და კიდევ უფრო გამიღვივა ნაკვერცხალი, რომლის მხურვალეობასაც აქამდეც ვგრძნობდი.

არიან ადამიანები, რომლებიც ყველაზე მეტად იმსახურებენ ჩვენს დაფასებას და სიყვარულს – ესენი დედები არიან.

პირველი წინადადება, რომელიც ბავშვებმა, საკუთარი ხელით შექმნეს, გახლდათ ასეთი:

“დედიკო, ძალიან, ძალიან მიყვარხარ!”

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ბავშვების პირველი ღონისძიება გახლდათ. თუ გავითვალისწინებთ, ამ ღონისძიების შედეგს, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისინი კიდევ ბევრ დაუვიწყარ დღეს გვანუქებენ.

ნათია ნაცვლიძე
№2 საჯარო სკოლის Xა კლასის მონსტრული

სამტრედიელმა კატარა მოცეკვავემ ფეისბუქი “აფეთქა” და ყველა რეკორდი მოსხნა

ნათია ნაცვლიძე

საბა ოჩიკავა სამტრედიის მეათე საჯარო სკოლის მესამე კლასელია, 4 წლიდან ცეკვავს ანსამბლ “იმედში”. საბა, ბოლო დღეების სოციალური ქსელის ლიდერია, ერთ-ერთ ქორწილში, მის მიერ შესრულებული პოპური ცეკვების ვიდეო ფეისბუქზე უამრავ მოწონებას იმსახურებს. საბას ნიჭიერება შეუძნეველი არც ადრე დარჩენია “სამტრედიის მაცნეს” დირექტორ ბეჟან გოგაის, ამჯერად კი, მისი ფეისბუქგვერდით აღფრთოვანდა. საბა რედაქციაში მშობლებთან ერთად გვეწვია და გაგვეცნო.



ხათუნა ზაჭაპურიძე, საბას დედა: “ქორეოგრაფიულ ანსამბლ “იმედში” 4 წლიანხევის მიეფიყანე, პედაგოგ ზვიად ვაშაყიძის ვუთხარი: სამი დღე დაეტოვებ, როგორ შეაფასებთ ვნახოთ-თქო. პედაგოგმა მითხრა: “ამ ბავშვს ეტყობა ნიჭიო. ახლა ქორეოგრაფი და მოსწავლე კი არა, მეგობრები არიან. ანსამბლის იუბილზე შარშან საბამ 14 ცეკვა იცეკვა ანსამბლის ბავშვებთან ერთად. ამჯერად საბა ანსამბლის წევრია.”

საბასთვის ცეკვის პარალელურად, სწავლაც ძალიან მნიშვნელოვანია, წარმატებულის სტენდზეც მიუჩინეს ადგილი სკოლაში. მათემატიკა და ქართული განსაკუთრებულად უყვარს, მეორე კლასიდან მონაწილეობს კინგის ოლიმპიადაში ქართულსა და მათემატიკაში. აქვს სიგელები, ახლახან, რობინსონის ას-

ოციაციამ გამოარჩია საუკეთესო მოსწავლეები ქვეყნის მასშტაბით და მიანიჭა პრივილეგია, ჩაერთონ საქართველოს ქართული ენისა და ლი-



ტერატურის ჩემპიონატში. საბამ მასში მონაწილეობის უფლება ინდივიდუალური საგანმანათლებლო მიღწევებით, სხვადასხვა საგნობრივ კატეგორიაში წარმატებებით მოიპოვა. ცეკვის გარეშე ერთი დღე არ

შეუძლია. თუ ვერ ვიცეკვე, დამით სიხმარში ფეხებს ვიქნევი, გეითხრა. ფაზბეგური, აჭარული და ჩეჩნური ლეზგინა – ცეკვის ეს სახეობები განსაკუთრებულად ზიბლავს.

“საუკეთესო მეგობრის ბიძის ქორწილში ვიცეკვე, აჭარული ფაზბეგური და ჩეჩნური ცეკვების პოპური, ცეკვა 5 წუთი გრძელდება. ეს ვიდეო ფეისბუქზე ატვირთეს და დიდი პოპულარობა ზედა წილად. ეს ძალიან მიხარია, ზვიად მასწავლებელი ანსამბლში “იმედის” იმედს მემძინდა, მინდა გავუმართლო იმედი. სადც არ უნდა გავაგრძელო სწავლა სამომავლოდ, ყოველთვის ვიქნები ზვიად მასწავლებლის მადლობელი, რადგან მან ჩაუყარა საფუძველი ჩემში ცეკვის სიყვარულს. ასევე მინდა ბატონ ბეჟან გოგაის გადაუხადო მადლობა, რადგან დაინტერესდა ჩემით”. – გვეუბნება საბა. პატარა მოცეკვავეს ბევრ ქორწილში ეპატიჟებიან, რადგან ასეთი პოპულარულია. სკოლაში ყველა ზემის გული და სულია, დაწყებითების პედაგოგ ნათელა გოგოტიშვილსაც ძალიან უყვარს. საბამ უკვე დაასრულა სრული კურსი და სანამ სკოლას არ დაამთავრებს, იქნება ანსამბლის წევრი. ახლახან ანსამბლის 6 წევრმა მონაწილეობა მიიღო ინტერნაციონალური ფოლკლორის ფესტივალში, რომელიც ესპანეთის 9 ქალაქში მიმდინარეობდა. ჯილდოებით, დიპლომებით და შთაბეჭდილებებით დატვირთულნი დაბრუნდნენ მოცეკვავეები სამშობლოში.

საბას ინტერესთა სფერო მრავალმხრივია: უყვარს ფეხბურთი, შესანიშნავად უკრავს ქართულ ხალხურ საკრავებზე, ასევე ფორტეპიანოზე, მუსიკალურია, ყველაზე დიდი ინტერესი მაინც ცეკვას უკავშირდება. გაგვიმხილა, რომ ძალიან მოსწონს ხეზე მუშაობა და სურს, სკოლაში შრომის გაკეთილები უტარებდეს, სადაც ის ხის ნაკეთობებს დაამზადებდა.



ერთ-ერთი პირველი, ვინც საბას რეკორდული სვლა სოციალურ ქსელში შეამჩნია, “სამტრედიის მაცნეს” დირექტორი ბეჟან გოგაია. ბეჟან გოგაია: “ ათ წელზე მეტია, აქტიური ფეისბუქმომხმარებელი ვარ, თითქმის არც ერთ საუკეთესო ვიდეოს არ ვტოვებ რეაგირების გერეშე, როცა პატარა საბას ვიდეო ვნახე, მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 10 დღის განმავლობაში ნახევარ მილიონზე მეტი ნახვა აქვს. ეს კი, უდავოდ, რეკორდული ციფრია. არ მახსოვს, იმერეთ-

60 წელი უგალაკტიონოდ

“ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა...”

გალაკტიონი... არა საჭირო გვარი, დაბადება-გარდაცვალების თარიღები. გალაკტიონი... გვესმის და უმალ ვხვდებით, ბუმბერაზ პოეტზე, ქართველ პოეტთა მეფეზე, ლექსთან ჭიდილში დაუმარცხებელ შემოქმედზე რომ არის საუბარი. მოვარდნილ გრივალს ჰგავდა ქართულ პოეზიაში გალაკტიონის მობრძანება. უბრალო და ზვიადი, საოცრად ახლობელი და მაინც ბოლომდე შეუცნობელი. ჯეროვნად შეუფასებელიც! იქნებოდა კი ესოდენ მდიდარი გალაკტიონის შემოქმედების გარეშე ქართული მწერლობა? ქართული პოეზია? ... 1959 წლის სუსხიანი მარტი... უჩვეულოდ აღესრულა არა ჩვეულებრივი გალაკტიონი... ვერც მას გაუგებო, ვერ მოეფერეთ, ვერ შევეშველეთ, მერე კა... “ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა”... საქართველო და ყვავილების ზღვაში ჩაძირული თბილისი მღუპარედ ეთხოვებოდა მთაწმინდაზე აღმავალ პოეტს. ... “ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს”, ასე ჰქვია ციცქნა წიგნს, გამომცემლობა “მერანის” მიერ 1986 წელს რომ გახლავთ გამოცემული, რომლის ავტორიც ირაკლი აბაშიძეა. ორ ლექსს ვთავაზობთ ამ წიგნიდან მეთხველს.



შენ ის ხარ მხოლოდ...
ხომ მორჩა უკვე ჭორი ბევრჯერ ღალატიანი,
არა ყოველთვის ჭორი თბილი, ჭორი ფრთიანი:
დღეს ასე ვნახეთ რუსთაველზე გალაკტიონი,
დღეს ისე ვნახეთ ვერის ხიდან “მერის” ტრფიალი.
გათავდა. მორჩა. ყველა აქ ჟღერს, ყველა აქევა:
ის ხეტიალიც, ის სიცილიც, ის სიმართლოვეც.
ახლა შენს დღესთან, შენს ღამესთან ვის რა საქმე აქვს –
შენ ის ხარ მხოლოდ – შავით თეთრზე რაც აქ დატოვე.

უშუსიოდ...
ახლა შენს სახლთან მღერის მიწა,
მზე და დარი.
მიწა ქართული უმუსიოდ
ცოცხალ-მკვდარია.
ახლა შენს სახლთან მღერის სიტყვა ვით ნაკადული.
ცას ვერ იხილავს უმუსიოდ
სიტყვა ქართული.
არის უკვდავი ეს სიმართლე,
ეს სიქადული –
ცოცხალ-მკვდარია უმუსიოდ
ლექსი ქართული.
სამოცი წელია უგალაკტიონოდ ცხოვრობს საქართველო...

ლევან ბაგრაძე

75 წელი მიწა გელოვანის გარდაცვალებიდან

მარად ჭაბუკი პოეტი

დამიცადე, ნატყვიარში დავიფინო ბალახი,
კვლავ ვიხილო მთები ქარში, ჩემგან გადანალახი.
გაგიტაცო, ლურჯა მალი მიგვაფრენდეს მალეითა,
მოპიოდეს შენი ქმარი ასი მეომართა”.

ყველა მოკლე და ქერა თმის ნახვით
გამახსენდება თმები შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდივარ, მაინც ვმორღები...
75 წლის წინ, 27 წლის ასაკში გარდაიცვალა პოეტი მიწა გელოვანი,
რომელსაც სიკვდილის შემდეგ რუსთაველის პრემია მიენიჭა.
ლევან ბაგრაძე



სამოქალაქო-საისტორიო მწერლობა საქართველოში XII საუკუნის წინ

საისტორიო მწერლობის წარმოქმნა ქვეყნის იდეურ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების, ისტორიული წარსულის შესწავლა-გამოკვლევების პრობლემებს დაუკავშირდა. ქართველი მემატიანე ისტორიკოსების წინაშე დგება გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც მათ ყურადღებას მიმართავს ქართველი ერის ისტორიის სწორად ასახვისა და გაგებისაკენ. ვახუშტი ბაგრატიონის შეხედულება – “მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა”, გულისხმობს ძველი ისტორიკოსების მიერ “ჟამთა გარდასულთა” ფაქტების, ისტორიული მოვლენების ობიექტური სისწორით გადმოცემას.

ქართულ საისტორიო თხზულებებში დგება საკითხები, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით მეტყველებენ საზოგადოებრივი ინტერესების მრავალმხრივობაზე. აღმოცენდა გარკვეული თეორია ქართველ და კავკასიის ტომთა წარმოშობასა და ნათესაობაზე, მათ საერთო წინაპარზე. იქმნება პიპათემა ქართული ერის წარმომავლობაზე, ისტორიკოსთა ყურადღებას იპყრობს ძველი ქართული რელიგიური რწმენის საკითხები, რომ ქართველები სხვა ციურ მნათობთა შორის თავიანთს სცემდნენ მზესაც (ლეონტი მროველი). ჩამოყალიბდა ისეთი შეხედულებანი, რომლებიც გარკვეულად უპასუხებენ ქართულ საზოგადოებრივ მდგომარეობასა და სოციალური დიფერენციაციის მიხედვებს.

ქართველი ისტორიკოსები აღვიწყებენ ინტერესს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებისადმი, აღძრავენ სიძულვილს უცხოელი და შინაური მტრების მიმართ. ისინი, ისევე როგორც ქართველი მხატვრული სიტყვის ოსტატები, პიროვნულად გადმოგვცემენ თავიანთთა თანამედროვე მოწინავე ქართული საზოგადოების განწყობილებას. უტყუარი ფაქტია, რომ ქართული სამოქალაქო-საისტორიო მწერლობა განვითარების მაღალ დონეს IX-XI საუკუნეებში აღწევს. ამის დადასტურებაა: ბასილი ზარზმელის “სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება” და გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება IX საუკუნის უცნობი ავტორის თხზულება “მოქცევაი ქართლისაი”, რომლის უძველესი ნუსხა მოთავსებულია ე. წ. შატბერდისეულ კრებულში და წინ უძღვის “წმინდა ნინოს ცხოვრებას”. ასე რომ, იგი წარმოადგენს ერთ მთლიან თხზულებას, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება.

საგულისხმოა, რომ “მოქცევაი ქართლისაი” ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის შესწავლილი. აუარება გამოკვლევა არსებობს მასზე. ამასთან, არაერთხელ გამოცემულიც.

თხზულების პირველი ნაწილი მოკლედ, ქრინიკის სახით გადმოგვცემს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას უძველესი დროიდან და შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს. განსაკუთრებით IV-VII საუკუნეების შესახებ. მკვეთრ ფერებში ამუშავებს მის ცალკეულ მომენტებს – მეფეთა ზეობას, ქართლის ირანთან თუ ბიზანტიასთან ურთიერთობას, ირანელთა მიერ ქართლის პირველად დარბევას, ვახტანგ გორგასლის მეფობას, ქართლში მეფობის გაუქმებას, პერსიულ კეისრის ლაშქრობას და სხვა. ასევე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით – ქალაქთა შენების, არხების გაყვანის, კვლავსათა აგებისა და სხვათა შესახებ. თხზულების ეს პირველი ნაწილი წმინდა საისტორიო ხასიათის ნაწარმოებია.

მეორე ნაწილი შედარებით ვრცლად გადმოგვცემს ქართველთა პირველი ქალი განმანათლებლის, ნინოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მიუხედავად ამისა, ეს ნაწილი მაინც საყურადღებო მასალებს იძლევა მხოლოდ ქა-

რთლის ისტორიისათვის, რადგან საქართველოს სხვა მხარეს მოთხრობა არ ეხება. თხზულების ეს ნაწილი მართლაც უფრო ლიტერატურული ნაწარმოებია, ვიდრე წმინდა ისტორიული. ამიტომ მასში მკვეთრად გამოხატული ავტორის ეროვნული ტენდენცია: მშობლიური ქვეყნის განდიდება, მისი ეროვნულ-კულტურული დამოიდებულების დაცვის სურვილი, ქართულ-სომხური საეკლესიო მწკვევ კონფლიქტის გადაჭრა უწყვეტი დებულებით – საქართველოს განმტკიცებისათვის მხოლოდ ღმერთი და ნინო.

ეს დედაპირი ნიშნდობლივია იმდროინდელი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისა და იდეოლოგიის თვალსაზრისით.

მართალია, “მოქცევაი ქართლისაი” მატიანე შინაარსის მხრივ მეტად ღარიბი და ერთფეროვანი ნაწარმოებია, მაგრამ თავისი განსაკუთრებული ხასიათითა და მნიშვნელობით ის მაღლა დგას, შინაარსობრივი სიღარიბე არ იგრძნობა, რადგან მასში მოცემული ზოგიერთი საისტორიო ცნობა, როგორცაა, მაგალითად, ავტოქტონობის პრობლემა – ქართველთა სამხრეთიდან მოსვლა და ამიერკავკასიაში დაშვებულება, ცნობები წმინდა ნინოსა და ქართველთა გაქრისტიანებაზე, სპარსთა ბატონობის დასასაიება, პერსიულ კეისრისა და ჯიბილუ საყანის ლაშქრობა კავკასიაში, თბილისის აღმშენებლობა და სხვა... თავისი მაღალი ღირებულებებით ფარავს მას.

ყურადღასაღება, რომ ავტორი თავის თხზულებას ალექსანდრე მაკედონელის შემოსევით იწყებს და ატარებს იმ აზრს, რომ, როდესაც მაკედონელი ვითომც კავკასიაში შემოსულა, ქართველები მაშინდელ ქართლში არ ცხოვრობდნენ. ასე ესმის ავტორს ქართველ ტომთა ბინადრობის საკითხი, რაც მწერლისდროინდელ საზოგადოებისთვის ჩანს, მწკვევ პრობლემა ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი რწმენით, ეს საკითხი საისტორიო მწერლობის წინაშე არც დადგებოდა. მაგრამ ახალი კითხვა რომ დაისვას, შემატანე თავის შრომას რატომ მაინცდამაინც ალექსანდრე მაკედონელის დროით იწყებსო, პასუხი უნდა გაეცეს. დიდი ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხს ასე გვიხსნის: ჩვენს უცნობ ისტორიკოსს განზრახვა ჰქონდა, დაეწერა ქართველთა ისტორია მხოლოდ მათი კავკასიაში დასახლების ხანიდან მოყოლებული და მის წინა დროს ამის გამო არ შეხებია.

ეს სწორია, მაგრამ დასაშვებია ახსნის სხვა ვარიანტიც: ავტორს შესაძლოა, ხელთ არ ჰქონდა ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ ეპოქების გადმოცემები საისტორიო წყაროები, იქნებ არც ზეპირი მასალები მოუძიებოდა, ხოლო საკუთარი ფანტაზიით ამ სიციარელოს შეესებას შეეგებულად აერიადა. ერთი სიტყვით, რაც ჰქონდა, იმით ისარგებლა. შესაძლოა, ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ ჩვენს მემატიანეს მართლაც შეტანილი ჰქონდა ბიზანტიელი მწერლის კლასიკის რომანის “ალექსანდრეანის” გავლენით, იმისი კვალი იყოს და ამიტომ იწყებდეს თხრობას მაკედონელის ხანიდან.

მკვლევართა საერთო აზრით ხაზგასმულია, რომ თხზულების ავტორი საკმაოდ ნაკითხი ყოფილა როგორც საღმრთო წერილში, ისე სხვადასხვა საისტორიო ლიტერატურაში. მაგრამ მი-

უხედავად ამისა, როგორც ეს თავის დროზე დიდად მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა და კ. კეკელიძემ გაარკვიეს, ავტორს ზოგიერთი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები მაინც მოსვლია. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა კავკასიაში მას უტყუარ ფაქტად მიუჩნევია, შუშანიისა და ვარსკენ პიტიანშის ეპოქის განსაზღვრაში ერთი საუკუნით ცდება; ქალაქი ბაღდადი მოხსენიებული აქვს, როდესაც ეს ქალაქი ჯერ კიდევ დაარსებული არ ყოფილა; სწორი არ ჩანს ჩამოთვლილ მეფეთა სია; თხზულებაში მოხსენიებული აბაიბარი, სიღონა და აიკობი იმ ამბების მხილველი ვერ იქნებოდნენ, რასაც ისინი მოგვითხრობენ.

რის გამო უნდა მოსვლიდა ეს შეცდომები ავტორს? საფიქრალია იმის გამო, რომ თვით საისტორიო წყაროები, რომლებსაც ის შრომის შედეგისაგან ვერდნობოდა, ასეთ მცდარ ცნობებს შეიცავდნენ, ან წერილობითი წყაროები საერთოდ არ გააჩნდა და საკუთარი ფანტაზიით, წარმოდგენებით ხელმძღვანელობდა. ამგვარ და სხვა ვითარებაში შეცდომები მოსალოდნელია და არცაა გასაკვირი.

ხაზგასმით აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც ამ წერილობითი ძეგლის პირველი კრიტიკული განხილვა ეკუთვნის, რომ მკვლევარი “მოქცევაი ქართლისაის” მატიანის ცნობებს დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრო... როგორც იგია პირველი დიდი ქართული წყარო, რომლითაც XI საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს თავისი შრომის დასაწერად უსარგებლია, ხოლო მროველის ისტორიით იხსნება “დეკაცთა ნამამცარი” დიდი წიგნი “ქართლის ცხოვრება”. მისით სარგებლობენ აგრეთვე ამავე საუკუნის ისტორიკოსები ჯუანშერი და სუმბატ დავითის ძე. ყოველივე ეს “მოქცევაი ქართლისაის” უდავოდ დიდი ღირსებაა.

ზემოთ აღნიშნა “მოქცევაის” ავტორის ნაკითხობაზე. მიემართოს უნდა ისიც, იგი საკმაოდ გაწვრთნილი ყოფილა საისტორიო მასალების დამუშავებაშიც. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ თხზულების ავტორი ასახელებს წყაროებს (ჭელიშური ვარიანტი), რომელთაც ეყრდნობა. მაგალითად, ჯვრის აღმართვის ამბავთან დაკავშირებით მითითებული აქვს გრიგოლ დიაკვნის “მოკლე აღწერილი ქართველის მოქცევის წიგნი”, კავკასიაში სპარსულ-ხაზართა შეჯახების გამო ამბობს, რომ “ესე აღწერილი გამოცხადებულად არს”-ო. მართალია, ჩვენთვის უცნობია როგორც გრიგოლ დიაკვნის, ისე ის ნაწარმოებები, საიდანაც ჭელიშური ვარიანტის ავტორს უნდა “გამოეკრიბა” ცნობები. მაგრამ თვით ეს ფაქტი, რომ ამის შესახებ მას სცოდნია, ან ეს ცნობები ხელთ ჰქონია და მისი გამოიხედავდა მოხმარებაც შეძლებია, ისტორიკოსის ფართო შესაძლებლობაზე და მის ჭეშმარიტ დახელოვნებაზე უნდა მიუთითებდეს.

ერთ-ერთი საყურადღებო საისტორიო წყარო, რომლითაც იხსნება “ქართლის ცხოვრების” კრებული არის XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულება, რომლის სრული სახელწოდებაც “ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა” (პირველი ნაწილი) და “მოქცევაი მირიან მეფისა და მისი თანა ყოვლისა ქართლისა წმინდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინო მციქულისა მიერ” (მეორე ნაწი-

ლი).

ლეონტი მროველისა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ჯერხნობით მხოლოდ ეს ერთი ცნობა არსებობს “ქართლის ცხოვრების კრებულში”. “ესე არჩისის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა”.

ამ ამონაწერში ლეონტის სამი ცნობა ჩამოთვლილი, რომელთაგან წმინდა საისტორიო ხასიათისა არის “ცხოვრება ქართულთა მეფეთა”. იგი საკმაოდ ვრცელი თხზულებაა, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ისტორია უძველესი პრეისტორიული ხანიდან – ბიბლიური ნოეს შვილების დროიდან კაცობრიობის მომრავლებამდე, ქრისტეს დაბადებამდე VI საუკუნის 30-იან წლებამდე, სახელდობრ, სპარსელთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმებამდე.

ლეონტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღის შესახებ დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ მეცნიერთა ბოლოდროინდელი დაკვირვებანი ლეონტი მროველი, როგორც ისტორიკოსი და მთარგმნე, ახალი საქართველოს ნაყოფია. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით მხოლოდ დაახლოებით შეიძლება განისაზღვროს დრო, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენი ისტორიკოსი. მისი დასკვნით, შეუძლებელია, ლეონტი მროველს XI საუკუნეზე ადრე ეცხოვრა.

პატრიოტი ისტორიკოსი თავის შრომაში საერთო სახალხო ერის მეშვეობით გაერთიანებული ქვეყნის სურათს გვიხატავს. თხზულება დაწერილია სახელდებული მეფის ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. ეს იყო დრო, ვითარება, როცა ასეთი შრომის შექმნას აუცილებლად ითხოვდა ის საზოგადოებრივი წრე, რომელშიც ისტორიკოსი ცხოვრობდა და ითხოვდა, იმიტომ, რომ იმხანად ქართულ საისტორიო მწერლობაში მხოლოდ ერთი შრომა არსებობდა – სუმბატ დავითისძისა, სადაც საქართველოს ისტორია მოყვანილია VI საუკუნიდან ბაგრატ მეოთხედამდე, ხოლო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად აყვავების ვნაზე დამდგარი საქართველო საჭიროებდა იმის შეგნებულად, ძირფესვიანად გააზრებასაც, ქართველები საიდან მოვიდნენ, სად იდგნენ და საითკენ უნდა ევლოთ, ვინ და რანი იყვნენ. უნდა ეფიქროთ ამ აზრითა და ამის გასარკვევად შეიქმნა ლეონტის შრომა. მართებულია ის შეფასება, რომ ლეონტი იდეოლოგიური მებრძოლი იყო საქართველოს პოლიტიკური ანექსიისათვის.

თავის თხზულებაში ჩვენი მესტორიე არსებობდა ოთხ ძირითად საკითხს ეხება. უპირველესად მას მოძებნილი აქვს ქართველთა ისტორიის გარკვეული ადგილი კაცობრიობის ისტორიაში – ქართველები გამოჰყავს ნოეს შვილის იაფეტისაგან; არეკვს, რა ურთიერთობა არსებობს კავკასიაში მობინადრე ხალხებს შორის; უჩვენებს, საიდან და როგორ წარმოიშვა ქართული ენა; თავისებურად გვიხსნის როდის, როგორ და საიდან გაჩნდა საქართველოში წოდებრივი უსწორ-მასწორობა; იძლევა ზოგიერთ საინტერესო და განსხვავებულ ცნობებს ქართლის ზოგ პროვინციაში ახალი რელიგიის ძალით გავრცელების შესახებ.

ვევლა ეს საკითხი ლეონტი მროველისათვის და მისდროინდელი ქართველი განათლებული წრისათვის მეტ-

ად საგულისხმო ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ავტორმა ამ საკითხებს დროის კვალობაზე საკუთარი პოზიციებიდან უპასუხა, დააჯერა საზოგადოება პრობლემის ჭეშმარიტებაში; მკვიდრი ნიადაგი გამოუქმნა მისი თვალსაზრისით წამოყენებულ თეორიებს.

ჩვენი რწმენით, ლეონტი მროველი, როგორც ისტორიკოსმა, ქვეყნის პატრიოტობა იტვირთა. ისეთი დიდი საისტორიო შრომა, როგორცაა ლეონტის “ცხოვრება", ავტორის ეპოქას დაშორებული თითქმის უხსოვარი დროიდან, ცარიელ ქალაქზე მარტო კალმის მოსმით ვერ დაიწერებოდა. ეს კარგად სცოდნია თვით მროველს და თავისი შრომის დასაწერად უსარგებლია როგორც ბერძნული, ისე სპარსული და საკუთრივ ქართული წერილობითი წყაროებით. ქართულ წყაროთაგან ხელთ ჰქონია უცნობი ავტორის “მოქცევაი ქართლისაი”. ამის შესახებ ლეონტი ერთ ადგილას კიდევ ამბობს: “წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა შინა ქართლისასა”-ო.

მიუხედავად ამისა, ლეონტის ეს შრომა ჩვენთვის მაინც საყურადღებოა, როგორც ლიტერატურული ძეგლი. მასში დაცულია ქართული ხალხური ეპოსის უძველესი ნიმუშები. მაგალითად, ასეთებია, ფარნავაზის სიხმარი, განძის პოვნა, ქართლის მეფე-ბუმბერაზთა მტრებთან შეტაკების აღწერილობა; აქვეა თქმულებანი და შეხედულებანი, რომელნიც იმდროინდელ საზოგადოების გარკვეული ნაწილის გონებრივ ინტერესებსა და სულიწკვევებს გვიხსრათებენ.

ნაშრომი შესრულებულია სხარტი, ლაკონური ენით. მაღალსტატუსურია მხატვრული შედარებები, თუნდაც ავიდოთ ერთი ასეთი სურათი ქართლოსიან-პოსიანთა ნებროთ გმირთან ბრძოლისა: “იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტყეი, რომელი ემსგავსა სასტყეებსა პავრისასა. რამეთუ მტერი ფერხისა მათისა, ვითარცა ელვა ცისა, ხმა პირისა მათისა ვითარცა სიტყუა ხშირი, და დაიხევა სისხლისა მათისა ვითარცა ღუარი სიტყუათა”.

საგულისხმოა, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის შინაგან თვისებათა აღწერასთან ერთად ავტორი ხშირად მის გარეგნულ პორტრეტულ აღწერილობასაც იძლევა, მაგალითად: “ესე მირვან იყო ტანით სრული და მშვენიერი, ძლიერი, მხნე და ქუელი”.

ავტორი ხშირ შემთხვევაში მიმართავს ხოლმე დიდილოგურ მეტყველებას, რასაც მის თხზულებაში კანონზომიერად შეაქვს დრამატისაციის ელემენტები. ასეთია, მაგალითად: “მამინ ძირიან იტყოდან სარტლად: პირმშო შვილი ვარ მე მამისა ჩემისა და საუფლისწულოდ ებოძნეს ქუეყანანი უცხონი მკლავითა წახმულნი, და მუნ ყოველნი დღენი ჩემნი დამიყოფიან ბრძოლასა შინა ხაზართასა, და მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან. ამისთვის ჩემი ძრას საყდარი მამისა ჩემისა”. ამას მოჰაქვებ ასე უპასუხებს: “თუმცა პირმშო ძირიან არს, არამედ ნაშობი არს მხევალისა, და ნაშობსა მხეველისასა ყოფის სუედ რომელ მას მისდომიან სამეფონი, ხოლო მე ნაშობი ვარ პინდოთა მეფისა ასულისა, სპარსთა დედოფლისა, და მოვისმენია ანდრეძი მამისა ჩემისა, და მოვინახავს, რამეთუ ხელთა მისითა დამადა გვირგვინი თავსა ჩემსა”.

მდიდარია თხზულების პოეტური აქსესუარი, რომელიც მას საერთო ლიტერატურისადმი გარდამავალი საფეხურის ხასიათს აძლევს. ასეთად გვესახება თხრობის საიდუმლოება, ლაპიდარინძისა და ფრანზის ექსპრესიულად აღღერება. საერთოდ, არა მხოლოდ დიდი სახელების – ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა, არამედ მთელი “ქართლის ცხოვრების” ენა იმდენად ხატოვანია, დროდადრო გავიწყდება, რომ ისტორიულ თხზულებას კითხულობ.

გალსანიანი თხზულება

აკალპიანი

უღელი ტვირთია, რომელიც ხარ... ე. წ. გამწვევ ძალას მხრებზე აწევს და იძულებულს ხდის დაემორჩილოს პატრონს, მეურმეს, რომელიც აწევს მისი გადაადგილების რეჟიმს.

მე გლენის შვილი ვარ, მეურმის, რამაც ბავშვობაში საშუალება მომცა დაკვირვებოდი ყოველივე ამას. საოცარი იყო, ორივე ხარი მორჩილებით, რიტმულად, თანაბარი სიჩქარით რომ მოძრაობდა. იყო ისეც, როცა ერთი უსწრებდა მეორეს, ან პირიქით. ამ დროს, მეურმე გადაჭრავდა სახრეს. იწყებოდა არა თანაბარი სვლა და გაბრაზებისაგან ხარებს შეეძლოთ, პატრონი სადღაც მოუხერხებელ ადგილას მიეგდოთ. მახსოვს ისიც, ზოგიერთი ხარი, სიმწრით როგორ ცდილობდა უღლის მოხსნას (უღელი, ამავე დროს, თავისუფლების შემზღვეველია, ერთგვარი შემაკავებელი), მაგრამ ამაოდ.

რამ ამოტივტივა ჩემში უღლის ცნება? იმან, რომ ქალ-ვაჟს, დაქორწინებულ წყვილთ, მეუღლეებზე აცხადებენ და სათანადო პირობებსაც უყენებენ. ე. ი. ეს მცნება პირდაპირ კავშირშია უღელთან (შეუღლება, შეუღლებულნი).

მეუღლეობა, ცოლ-ქმრული უღელი არანაკლებ მძიმეა. როცა მეურნე ხარებს გამწვევ ძალად იყენებს და ორივეს უღელს ადგამს, მისი შეფასებით ისინი ამისთვის მომზადებულები, მომწიფებულები არიან. ქალ-ვაჟის (არა თანაბარი) შესაძლებლობების გათვალისწინება კი მეტად რთულია. ჩვენ საქმე გვაქვს მოაზროვნე ადამიანთან, მის არჩევანთან, გრძნობებთან. ზოგიერთი ახალგაზრდა ღრმად აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას, ახალი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის უნარს, საბედნიეროდ, ქორწინების

უღელს წვევითა დიდი ნაწილი თანაბრად დიდი სიყვარულით და რუღუნებით ეწევა, ნაწილი კი თავს უღლის მარწუხებში გრძნობს და ცდილობს თავიდან მოცილოს, რასაც მოჰყვება გაუთვალისწინებელი შედეგები, გაუგებრობები, დეპრესია და სხვა მრავალი.

ხვევა მახსოვს. ასეთი სატელეფონო კავშირებით ქალ-ვაჟს შორის დამყარდა ურთიერთობა, ისინი ფიზიკურად არ იცნობდნენ ერთმანეთს, ვაჟმა შეიტყუა შესახვედრად და ეს არ იყო ის, რასაც გოგონა ელოდა. შეშფოთდა ოჯახი, ირგვლივ მყოფი ადამიანები, მსგავსი

სახელმწიფოებრივი საქმეა. არ შეიძლება ბავშვებთან ყველაფერზე ღიად საუბარი. მეხსიერება ბევრ რამეს იტევს და რეაგირებს ზოგჯერ ყველასთვის მოულოდნელ სიტუაციაში.

ყოველთვის ინტერესით ვისმენ უწმინდესისა და უნეტარესის, სრ-

ობიეროს მისი ადგილი და როლი სამშობლოს წინაშე, უნდა შეეძლოს თეთრისა და შავის, კეთილისა და ბოროტის, მტრისა და მოყვასის, მართლისა და ტყუილის გარჩევა, პარტიული კუთვნილების მიუხედავად პოზიტიური მოვლენებისადმი ღირსეული მიდგომა, ნათქვამია: “შემახებით ხე გახმაო”. არ შეიძლება ცხოვრება უიმედობით. მეორე მსოფლიო ომის წლებში დაბადებულს, კარგად მახსოვს, როგორი იმედით ელოდა ხალხი ყოველი დღის გათენებას. შრომობდნენ და ხალისობდნენ თავისი გარჯით მოპოვებული ლუკმა-პურით. ერთმანეთს უნაწილებდნენ უკანასკნელ პურის ნაჭერსაც კი. ღრმად დაფიქრებაა საჭირო. ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის ზვალინდელი დღეა, ფესვი ფესვთაგანი. ვამაყობ მათი ნიჭიერებით და წარმატებებით. მჯერა, მომავალი თაობა გაითვალისწინებს წარსულის შეცდომებს და გაბედულად გადადგამს ნაბიჯს ქართული სულის გასაძლიერებლად. თავისუფლება ეს არის თითოეული პირის პასუხისმგებლობა თავის ქმედებაზე, პიროვნების თავისუფლება, მის სულიერ და კულტურულ ღირებულებებს ვერც დრო, ხელი-სუფლება თუ პოლიტიკური სისტემა მოლიანად ვერ წაშლის, შეიძლება მსხვერპლად აქციოს, გარკვეულწილად შეზღუდოს, მაგრამ სულით მდიდარი, შორსმხედი და მეზობელი ადამიანი მაინც აღწევს მიზანს. ამის უამრავი მაგალითია ჩვენს ირგვლივ, ზოგიერთი მათგანი ცალკეულად ხარისხით მიეზიდება ცხოვრების მძიმე ჭკანას ჯერ კიდევ სიღარიბესა და სიღუბნურში, მაგრამ ოჯახისა და ქვეყნის სიყვარულით, მაინც ზვალინდელი დღის იმედით. იმედი ხომ ბოლოს კვდება.

უღელი

"შეიცან თავი შენი"

ცხოვრება შეიცვალა, მასთან ერთად შეხედულებებიც, დამოკიდებულებებიც. XXI საუკუნე ტექნიკური პროგრესის საუკუნეა. როცა ფიზიკის მასწავლებელი გოგიტა მან-იტაძე მეცნიერულ დასკვნებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, ამ პროგნოზზე საუბრობდა, ჩვენ, მოსწავლეებს გადაჭარბებულად გვესახებოდა მომავალი. საბედნიეროდ, ჩემი და უფროსი თაობები შთამომავლობასთან ერთად ამას მოვესწარი. მობილურმა ტელეფონებმა, ინტერნეტ სივრცემ და სხვა ბევრმა ტექნოლოგიურმა სიახლემ შთანთქა ზოგიერთი ახალგაზრდის ყურადღება და ძვირფასი დრო, განსაკუთრებით, სკოლის ასაკის მოზარდებში არაერთი განმაურებული შემთ-

და სხვაც არაერთი შემთხვევა ცნობილი ქვეყნის მასშტაბით, სექსოლოგიის თემზე ზღვარს გადასული სატელევიზიო გადაცემები.

მე ვიტყვოდი, გამომწვევით სავსე უბარი და ერთგვარი მოწოდებებიც ზოგიერთი გამოცდილებისა, – ახალგაზრდებს კიდევ უფრო უძლიერებს ინტერესს და უბიძგებს აკრძალულისკენ. ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ რეალობაა, ხანდახან უღელი ადამიანი მიდინარეობს და ვაჟთა გარკვეული ჯგუფისაგან ისმენ საკუთარი დედის გინებას, სხვა ამაზრუნე სიტყვასაც. მათ არანაირი რეაქცია არა აქვთ ამაზე. შეიძლება ეს იმიტომ იყოს განპირობებული, რომ ჩვენს ქვეყანაში წინა ათწლეულში მოხდა უფროსი თაობის დისკრედიტაცია, თაობათა შორის კავშირის რღვევა, უფროსი, ხანდაზმული ადამიანებისადმი პატივისცემის, ქართული ეროვნული ტრადიციის უგულვებელყოფა. თაობათა შორის ურთიერთობათა აღდგენა ყოველდღიურობის მთავარი ამოცანაა.

როგორც ვიცით, ქალისა და მამაკაცის ქორწინება, მეუღლეებად გამოცხადება და იურიდიულად დაკანონება ასოცირდება ახალი ოჯახის შექმნასთან და თავის თავში მოიცავს პასუხისმგებლობას. ოჯახის ტრადიციის პატივისცემას, ზოგადად, ურთიერთნდობას, სიტუაციის ანალიზის უნარს და აქედან გამომდინარე დათმობას, მიტევებას, შეილებაზე ზრუნვას და რაც მთავარია, სიწრფელეს ურთიერთობაში.

სიტყვა ოჯახი, (ოჯახი) თავის თავში იტევს ჯახს, ე. ი. შეჯახებას, შეუთანხმებლობას, კამათს... მაგრამ არა გაუთავებლად, თუ მეუღლეთა ურთიერთობის ფუძე სიყვარულია, მაშინ ურთიერთგაგება, დათმენა, თავშეკავება ორივე მხარეს მართებს. ოჯახი ისტორიულად ერთგვარი აკადემიაა, განსაკუთრებით საქართველოში და ვფიქრობ, ამ კუთხით ფართო პროპაგანდა მართებთ საინფორმაციო საშუალებებს ფსიქოლოგთა აქტიური მონაწილეობით, მონარდთათვის თავად ოჯახია მაგალითი, ქვეყის კულტურა თითოეულ მათგანში მეტად მნიშვნელოვანი და ვიტყვოდი,

უღიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის საკვირაო ქადაგებებს, რომელიც ქვეყნის ტკივილით და მისი დაძლევის გზების ძიებითაა მუდმივად გაჯერებული. ახლახან, ყურადღებით მოვისმინე 2019 წლის საშობაო ეპისტოლე. ჩვენმა პატრიარქმა მრევლს, მიუღ საზოგადოებას გაანდო თავისი გულისტკივილი მომავალი თაობის აღზრდის პრობლემებთან დაკავშირებით და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ოჯახს, მისივე სიტყვებით, მცირე ეკლესიას, ასევე სკოლას, მასწავლებელს. ჩემი აზრით, პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს გულდასმით უნდა გავეცნო ისინი, ვისაც ხელეწიფება მომავალ თაობაზე ფიქრი და ზრუნვა, აქ ბევრ სასარგებლო რჩევას ამოვივითხავთ. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ქვეყნის, თუნდაც ჩვენი ქალაქის თუ სოფლის წარსული, აწმყო და სინამდვილე. თავს დავტრიალებთ ერთსა და იმავეს, პოლიტიკურ სისტემათა კრიტიკას, დაპირისპირების ნიაღვარმა წალევა დადებითი, წინა პლანზე წამოიწია სიმულაციის ენა, უმადურობა, ნიჰილიზმი და ეს განწყობა ბუნებრივია, აისახება ოჯახზე, შვილებზე, საზოგადოებაზე. ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაში პრობლემები უზვადაა, რასაც სჭირდება ძირეული ანალიზი. ყველაფრის თავი ადამიანია, მისი გონიერება, სიყვარული, თავმდაბლობა, ერთგულება, ოჯახური სიმშინდე და ოპტიმიზმი. პიროვნებად ყალიბდებიან იქ, სადაც სრულად თავსდება ამ ღირებულებათა ერთობლიობა. ადამიანთმცოდნეობის საიდუმლოს გასაღები თავად ადამიანია. თვითშეცნობის უნარი “როგორ ვხედავ მე ჩემს თავს, როგორ მხედავს სხვა, სინამდვილეში ვინ ვარ მე” (ილია მეორე, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი). მუდმივად თან უნდა დაგვყვებოდეს, რაც, სამწუხაროდ, გვაკლია.

უღლის ცნება ფართოდ განზოგადდა საუკუნეების მანძილზე. მტრის უღელქვეშ ყოფნა მეტად მძიმეა. რეალობაა, რომ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის 20%, ამიტომ თითოეულმა ოჯახმა, მიზარდმა თაობამ უნდა გააცნ-

როგორც ხანდაზმულ ადამიანს, ზოგიერთი შეიძლება შემომედავოს კიდევ, რა დროს უღელიაო, ნუ გამიწყობით, მართალია ჩემს თაობას, ხშირად ძველ დროში ჩარჩენილებად მოიხსენიებენ, მაგრამ ცდებიან, საცერის დანიშნულებაა ფქვილი სუფთად გაცრას და შემოაცალოს უხეში ნაწილი, გონიერმა ადამიანმა კი წარმოსათქმელი სიტყვა ან შედარება, განსაკუთრებით როცა უფროსი თაობას და მის ღირსებას ეხება, ბოლომდე უნდა გააცნობიეროს. ნუ გაგვათამამებს დრო, რომელსაც ყოველთვის მოაქვს ახალი. ჩვენ, თითოეული მათგანი, კონკრეტული დროის ნაწილი ვართ. მთავარია, ადამიანი იმ კონკრეტულ დროსა და სივრცეში რას ადწევს, რა არის მისი ცხოვრების კრედი.

მინდა მოვიშველიო ამონარიდი ცნობილი ქართველი პოეტის ტიც-იან ტაბიძის ლექსიდან “მამ, გამარჯვება...”

“დავბადებულვარ რომ ვიყო მონა

და საქართველოს მედგას უღელი.”

სწორედ ასეთი სიყვარულით და შთაგონებით დადგმული უღელი გააერთიანებს და გააძლიერებს მთმინებით დადილდ საქართველოს, მის პატრიოტულ სულს, რაც მეტად გასაფრთხილებელია და “არ გიცვლებს სხვაზედა”.

ნათია ბაქრაძე



დვანოზ ათხანსი (რუსად) განხილვა
საოცრად ძნელია, მოსაგონარი დაწერიო უძვირფასეს და უახლოეს ადამიანზე, მით უფრო, ნაადრევად რომ დატოვა წუთისოფელი.
გაუნებელი ტკივილი, სევდა და მწუხარება გახდა ჩვენი ოჯახის მეგზური. გიჟობით, გვიყვარხარ და ცრემლებით გილოცავთ შეუსრულებელ 37 წელს!
ნათელში იყავი, ღმერთთან ახლოს!

მედი დიდი ცხახი

ჟორა (გიორგი) რეპიზვილის გარდაცვალების გამო

სინანულით და გულისტკივილით ვიგონებ ბატონ გიორგი (ჟორა) ვარლამის მე რეპიზვილს, რომელიც ამ დღეებში 83 წლის ასაკში განერიდა საწუთროს.

გასული საუკუნის 60-იანი წლების თაობა კარგად იცნობდა მას, როგორც ღირსეულ პიროვნებას, ერთგულ უფროს მეგობარს, ჭეშმარიტ სამტრედიელს, თავისი საქმის მაღალ პროფესიონალს – ინჟინერ-მშენებელს და ორგანიზატორს (რაც რეალურად დაამტკიცა თავისი პრაქტიკული საქმიანობით). ქალაქის თავს, რომელმაც ბევრი სასიყვარულო საქმის განხორციელება მოასწრო და ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცობაც გასწია. დატოვა კარგი შთამომავლობა.

თავს უფლებას ვაძლევთ, ჩვენი თაობის და ასევე ოჯახების სახელით გამოვხატოთ გულწრფელი მწუხარება ბატონი გიორგი (ჟორა) რეპიზვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობა გამოვუცხადოთ მის ოჯახს და ახლობლებს.

ზორა კახაიძე
ნათია ბაქრაძე
მელხეა კალაძე
თაზო ბიხაძე

გილოცავთ!

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" მეშვეობით მიხდა სულით და გულით პროფესიული დღესასწაული მივულოცო ჩვენს მუნიციპალიტეტში და სრულიად საქართველოში მოღვაწე პრესასა და ტელევიზიაში მომუშავე ყველა თანამშრომელს. ვუსურვებ მათ პროფესიულ წარმატებებსა და პირად ბედნიერებას ცხოვრებაში!

*კატივისკვამით ირკა ნიკოლეიშვილი
შატაბარამი კონსერვატორი*



**თეა, შენ რომ დაგინახავ,
თვალს მაწვება ნისლი.
ამ გაზეთის გადაკვიდე
ხო გამიშრე სისხლი!**



**ჩქარა, ჩქარა, ჩვენო ლადო,
დღეს გაზეთი უნდა განდო!**

ვულოცავთ!

გიორგი, შალვა და გივი დადანიძეებს ვულოცავთ დაბადების დღეს. წარმატებებს ვუსურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

უფალი გმეგზურობდეთ!

"სამტრედიის მაცნე"

თეა ბაბუნაშვილს!

"სამტრედიის მაცნეს" ღირსეული გუნდის უკვე დავაწვდომოსილ წევრს, თეა ბაბუნაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. პროფესიულ წარმატებებსა და ოჯახურ ბედნიერებას ვუსურვებთ!

"სამტრედიის მაცნე"

ანანო გალდავას!

ჩვენო გაზაფხულით ლამაზო და მშენიერო გოგონავ, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, პირველ კურსელობას. გეინდა მუდამ ლალსა და ბედნიერს გვხვადეთ. შენი დღევანდელი და საუკეთესო ზვალინდელი დღით გაახარო შენი დედიკო, მამიკო და ყველა ახლობელი. ისეთი ქალბატონი დამდგარიყავი, რომ შენი ნაცნობობით ყველა ჩვენგანს ეამაყოს, "სამტრედიის მაცნეს" თვალწინ გაიხარდეს და დაფრთიანდეს.

"სამტრედიის მაცნე"



თაია ჯინჭარაძეს!

თაია, ჩემო მზის სხივო, გილოცავთ შენს დღეს! მიხდა, უსასრულოდ ბევრი ლამაზი წლები გისურვო. სიხარული და სიყვარული შენი ციმციმა თვალებიდან იღებდეს სათავეს. მიხდა იბევრო და გაწვიმდეს მხოლოდ დიმილი, სიხარული და ბედნიერება! ძალიან, ძალიან მიყვარხარ, ბებო! ვმადლობ უფალს ასეთი ბედნიერებისათვის!

მკა ბაბო



ერთი წლის გახდა ჩვენი კოლეგის, ეკა ცომაიას შვილიშვილი, "სამტრედიის მაცნეს" კედლებში დავაჯგაჯგებული ზივო ჯინჭარაძის ქალიშვილი.

მზეგრძელობას, დღეგრძელობას, უღვე სიხარულს ვუსურვებთ პატარა თაიას. მისით ეამაყით მშობლებს ნინი და ზივო ჯინჭარაძეებს, ახლობლებს, საქართველოს!

"სამტრედიის მაცნე"

**რედაქციის მისამართი:
სამტრედიის რაიონული კ. №6
ტელ: 599 02 41 11**



დირექტორი ბაქან ბოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაქაია
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლეონ ბაბუნაშვილი
კომპიუტერული გრაფიკა მკა ბაბუნა